# საორბიელი

საორტული გაზეთი ხუთშაბათი 1 მარტი 2007 №45 (2968) ფასი 50 თეთრი


# მიხეილ–მიშელ მით არ გამოვიდა, რომ...



აღმოსავლეთ ევროპის ჯილა, უეფას პრეზიდენტი მიშელ პლატინი პირველი სამუშაო ვიზიტით თბილისს ერთ კვირაში ეწვევა. პლატინი საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილსაც უნდა შეხვედროდა, მაგრამ ის, რაც შარშანწინ მოხდა, ახლა ვერ მოხერხდება — ქვეყნის პრეზიდენტი სახელმწიფო საქმეებითაა დაკავებული და პლატინის თბილისური ვიზიტისას უცხოეთში იქნება.





## ჩვენი მომავლის მომავალი ისევ ჰაერშია

### გოგიტა გოგუას დაზაფრული გაზაფხული

გოგიტა გოგუას სატრანსფერო ეპოპეა ვერა და ვერ დასრულდა. საქართველოს ნაკრებისთვის სტრატეგიული მნიშვნელობის ფეხბურთელი ისევ გაურკვევლობაშია. შოტლანდიურ „ჰართსში“ და რუსულ „ტომში“ ვერშემდგარი ტრანსფერის შემდეგ გოგუა იმავ რუსეთში, რამენსკოეს „სატურნში“ უნდა გადასულიყო, მაგრამ გუშინ ეს გარიგებაც ვერ შედგა — უკვე ოთხი თვეა, გოგუა უგუნდოდაა...

## ბეტისის შიგთავსი ხუანდე რამოსს შიგ თავში



ბეტისი – სევილია. ესპანეთის თასის მერვედფინალის მატჩი უპასუხოდ დარჩა: სევილიელთა მწვრთნელს ტრიბუნიდან ნასროლმა საგანმა გონება დააკარგვინა და თამაშიც ჩაშალა



# პრეზიდენტი პრეზიდენტს ვეღარ ნახავს

## პლატინი ქალებს ირაოზე შეხედავს



ბაჩუკი კაპანაძის ფოტო

**უეფას** პრეზიდენტის მიშელ პლატინის საქართველოში ვიზიტი დაგეგმილზე მცირეხნიანი იქნება — ფრანგი ჩინოსანი თბილისს 7 მარტის შუადღეს ეწვევა, მეორე დღის საღამოს კი უკან გაემგზავრება. ჩაიშალა პლატინის შეხვედრა საქართველოს პრეზიდენტთანაც — 5 მარტს მიხეილ სააკაშვილი იაპონიას მიემგზავრება. პლატინი სააკაშვილს პირველად შარშანწინ შეხვდა თბილისში, მაგრამ მაშინ ლეგენდარული ფრანგი ჯერ არ იყო უეფას პრეზიდენტი.

საქართველოში ჩამოსული პლატინი ქვეყნის პრემიერ-მინისტრს, სპორტის, კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრს და სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარეს შეხვდება. მოინახულებს საქართველოს ნაკრების საგურამოში მშენებარე ბაზას, ასევე ტექნიკურ ცენტრ „ბასას“ და ეროვნულ სტადიონს, გახსნის ქალთა ტურნირს მინი-მოედან „ირაოზე“, 8 მარტს კი „ეროვნულზე“ პრესკონფერენციას გამართავს.

უეფას პრეზიდენტის რანგში პლატინის პირველი ოფიციალური ვიზიტი სწორედ ჩვენთან ექნება.

**ქოგა ინასარიძე**

# ფედერაციაში დღეს მსაჯებზე იმსჯელებენ

## კაჭახიძეს კი ან მოხსნიან, ან არა...

**ქართულ** საფეხბურთო წრეებში ხმა გავრცელდა, ფეხბურთის ფედერაციის მსაჯთა და დამკვირვებელთა კომიტეტის უფროსს ამირან კაჭახიძეს მალე თანამდებობას დაატოვებინებენ, ნაცვლად კი კომიტეტში საბჭო შეიქმნება, რომელიც მსაჯობას მიხედავსო...

რატომ და საიდან უნდა მოდიოდეს ეს ხმები?

კაჭახიძის გათავისუფლებას მსაჯების არაპროფესიონალიზმს, ჩემპიონატის პირველ წრეში დაშვებულ ბევრ შეცდომასა და კადრების მნიშვნელოვნად გაახლებას უკავშირებენ. ამ ყველაფერს კი „ამერი“ — „დინამოს“ სათასო მეოთხედფინალის პირველი მატჩის მსაჯობის თემაც დაერთო — „დინამოს“ დღემდე ვერ მოუნელებია, ამ შეხვედრაში ლევან კვარაცხელიას მსაჯობა და ახლა ითხოვს, რომ საპასუხო მატჩს სხვა ბრიგადა მოემსახუროს. მსაჯთა და დამკვირვებელთა კომიტეტის ძველი გადაწყვეტილებით კი ორივე სათასო შეხვედრას ერთი ბრიგადა უნდა ემსახურებოდეს.

„დინამომ“ გუშინწინ პროფლიგის გამგეობის სხდომაზე დასვა ეს საკითხი და მაშინვე შესაბამისი ოქმიც დიაწერა, რომელიც განსახილველად ფეხბურთის ფედერაციას გადაეგზავნა. პროფლიგა ფედერაციას მიმართავს, რომ სათასო მატჩებზე მსაჯთა დანიშვნის პრინციპი ერთხელაც განიხილოს.

ფედერაციის ჩინოსანთა შეკრება დღეისთვისაა დანიშნული. ამირან კაჭახიძის თანამდებობაზე ყოფნის საკითხი კი თურმე არც განიხილება.

— ჩვენი მიზანია, რომ საქართველოს ჩემპიონატი თუ თასის გათამაშება ნორმალურად ჩატარდეს და ობიექტურ მსაჯობაში ყველა დარწმუნდეს — გვითხრა ფეხბურთის ფედერაციის გენმდივანმა უჩა უგულავამ — ხუთშაბათს ფედერაციაში საგანგებო შეხვედრა გაიმართება, პროფლიგის იმ წერილზე ვიმსჯელებთ, რომელიც მათი გამგეობის სხდომის შემდეგ მივიღეთ. როგორც გვატყობინებენ, „დინამო“ სათასო მატჩებზე მსაჯთა დანიშვნის პრინციპს არ ეთანხმება და ამის შეცვლას ითხოვს. ფედერაცია და პროფლიგა მხოლოდ ერთი და ორი კლუბის ინტერესის გათვალისწინებით ვერ იმსჯელებს, ფედერაციის ხელმძღვანელთა შეხვედრაზეც ისეთი გადაწყვეტილება იქნება მიღებული, რომელიც ზოგადად ქართული ფეხბურთის განვითარებას ხელს შეუწყობს.

უჩა უგულავას კაჭახიძის შესაძლო გათავისუფლების თაობაზეც ვკითხეთ...

— არა, ეს საკითხი არც კი განიხილება. ფედერაციაში საგანგებო შეხვედრა მხოლოდ პროფლიგის წერილის თაობაზე შედგება. არც პროფლიგას, არც თბილისის „დინამოს“ კაჭახიძის გათავისუფლების საკითხი არ დაუყენებიათ.

ცხადია, როცა ასეთი ხმები ვრცელდება, მასაც უნდა ჰკითხო, ვისი მისამართითაც ეს ყველაფერი ისმის... ამირან კაჭახიძემ გვითხრა, რომ...

— ეტყობა, ჩემზე ნაწყენი არიან. რა ვქნათ, ასეთია ჩვენი საქმე, რაც ფეხბურთს თამაშობენ, მსაჯობით კმაყოფილი ჯერ არავინ ყოფილა. მსაჯობა ყოველთვის აქტუალურია და ყოველთვის ბევრია სალაპარაკო. მსაჯთა და დამკვირვებელთა კომიტეტი კი თავის საქმეს აკეთებს და ჩემი შესაძლო გათავისუფლების თაობაზეც ვერაფერს გეტყვით. ყოველ შემთხვევაში, ჯერ ჩემთვის მსგავსი არავის არაფერი უთქვამს...

ვნახოთ, რას იტყვიან დღეს ფედერაციის ხელმძღვანელები. ზოგადად, სათასო მატჩებზე მსაჯთა ასეთი პრინციპით დანიშვნას არც სხვა გუნდები უჭერენ მხარს, თუმცა გადაწყვეტილების მეოთხედფინალში შეცვლასაც არ ეთანხმებიან, ხოლო ახალი სეზონიდან, ალბათ, სხვანაირად იქნება.

**ქოგა ინასარიძე**



ამირან კაჭახიძე: ჩემს მოხსნაზე მე ჯერ არაფერი გამიგია...

ბაჩუკი კაპანაძის ფოტო



ბაჩუკი კაპანაძის ფოტო

# სად არის გოგუა?

## კითხვის ნიშნები აღარ დამთავრდა

**გოგიტა გოგუას** სატრანსფერო ამბავი ჯერჯერობით ისევ გაურკვეველია. საქართველოს ეროვნული ნაკრების შუახაზელს რუსული პრემიერლიგის „სატურნთან“ კონტრაქტი თითქოს გუშინ უნდა გაეფორმებინა, რაც სამშაბათს თვითონ გვითხრა კიდეც, მაგრამ, ქართველის „სატურნში“ ყოფნა ჯერ არავის დაუდასტურებია. გოგუამ კი, რომელსაც გუშინ ორჯერ დავუკავშირდით, ჯერ გვითხრა, საღამოს გადმორეკეთო, ხოლო საღამოს — ხვალ ვისაუბროთო.

მოკლედ, საქართველოს ნაკრების ნახევარმცველის ტრანსფერი კითხვის ნიშანთან ისევ ახლოა. გოგუამ, „სატურთან“ ერთად კი ვვარჯიშობო, მაგრამ ამას ჯერჯერობით არც რამდენიმე ნაკოველთა ვებ-გვერდი იუწყება, არც ის ხალხი, რომლებიც სატურნელთა ვარჯიშებს რეგულარულად ესწრებიან.

გუშინვე, „სატურნმა“ ქომაგებს ახალი სეზონისთვის დამატებული ფეხბურთელები წარუდგინა, მათ შორის კი ქართველი არავინაა. პოპულარული რუსული გამოცემა „სპორტ-ექსპრესი“ იტყობინება, რომ საახალსეზონოდ „სატურნმა“ რუსეთის ნაკრების კანდიდატები ანდრეი კარიაკა და დიმიტრი კირიჩენკო დაიმატა. გოგუაზე სიტყვაც არ არის ნახსენები...

მაშ სად არის გოგუა? დღეს ალბათ რამეს კიდევ გავიგებთ.

**ქოგა ინასარიძე**

### გერმანია

ჩრდილოეთ რეგიონალლიგა

გადადებული მატჩი

ვერდერი (მ) 1:0 ლევერკუზენი (მ)

თასის მეოთხედფინალი

შტუტგარტი 2:0 ჰერტა

### საბერძნეთი

თასის ნახევარფინალი

პირველი მატჩი

პანათინაიკოსი 0:0 ქსანთი

### ესპანეთი

თასის მეოთხედფინალი

საპასუხო მატჩები

ოსასუნა 1:0 ხეტაფე (0:3)

ვალიადოლიდი 1:1 დეპორტივო (1:4)

სარაგოსა 1:2 ბარსელონა (1:0)

ბეტისი — სევილია (0:0) ჩაიშალა

### საფრანგეთი

თასის მეოთხედფინალი

მონაკო 1:0 ლანსი

სოშო 2:1 პსჟ

### პოლონეთი

ლიგის თასი. V ტური

გურნიკი 2:3 ვისლა

ზაგლები 1:0 ოდრა

არკა — ლეხი გადაიდო

### რუმინეთი

თასის მეოთხედფინალი

პანდური 3:2დ.დ.(2:2) ნაციონალი

ტიმიშოარა 2:1 პოლიტეხნიკა

რაპიდი 2:0დ.დ.(0:0) არჯეში

### ჰოლანდია

თასის მეოთხედფინალი

ვალვაიკი 1:0 როდა

უტრეხტი 1:2 ალკმაარი

არველაძემ ითამაშა 90 წუთი

ბრედა 3:0 პსვ

ტილბურგი 0:2 აიაქსი

### პორტუგალია

თასის მეოთხედფინალი

ბრაგანსა 1:2 ბელენენსეში

ბეირა მარი 2:0დ.დ.(0:0) ბოავიშტა

სპორტინგი 2:1 აკადემიკა

ბრაგა — ვარზიმი: 25 მარტს

### შოტლანდია

თასის მეოთხედფინალი

მოზერუელი 1:2 სენტ ჯონსტონი

### თურქეთი

თასის მეოთხედფინალი

საპასუხო მატჩები

გაზიანთეფი 1:1 ტრაბზონი (0:1)

მანისა 2:0 ბეშიქთაში (0:4)

### ინგლისი

ასოციაციის თასი

1/8 ფინალი. გადათამაშება

ბლექბერნი 1:0 არსენალი

ხიზანიშვილი შევიდა 46-ე წუთზე

### ბელგია

თასის მეოთხედფინალი

პირველი მატჩები

გენტი 2:1 მეხელენი

ანტვერპენი 0:1 სტანდარდი

ბრიუგე 2:1 კორტრაიკი

გენკი 0:1 ანდერლეხტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ეიფორია დამღუპველია
## მთავარია, თავი არ დავკარგოთ

წლეულს ლევან კობიაშვილს ტრავმის გამო „შალკეში“ რამდენიმე მატჩი გაუცდა და ვერც თურქეთთან სანაკრებო ამხანაგურ შეხვედრაში ითამაშა. ტრავმამ არა, მაგრამ ამჯერად დისკვალიფიკაციამ შეუშალა ხელი ლევანს, „ლევერკუზენთან“ მინდორზე რომ გასულიყო. ბუნდესლიგის წინა ტურში — „ხუმარებმა“ ის თამაში 0:1 წააგეს და მეორეადგილოსან „შტუტგარტს“ ოთხი ქულითღა უსწრებენ, თუმც კობი და „შალკე“ ბუნდესასალათის მოხელთების მაინც მთავარი ფავორიტები არიან. კობიაშვილს ბუნდესლიგური ამბების გარდა სანაკრებო თემაზეც ვესაუბრეთ...

— „შალკეს“ მაგარი ტემპი ჰქონდა აკრეფილი, თამაშს თამაშზე იგებდა და ამ დროს „ლევერკუზენთან“ შინ წააგო...

— რომ ვთქვა, გუნდმა ვერ ითამაშა და წასაგები მატჩი იყო-მეთქი, მართალი არ ვიქნები. როდესაც საჩემპიონო რბოლაში ხარ, ნებისმიერი მარცხისას ჩნდება კითხვა, მაგრამ... რა გითხრათ, „ლევერკუზენის“ მეკარემ საწაული ბურთები მოიგერია, „შალკემ“ იმდენი საგოლე მომენტი შექმნა, ორ და სამ მატჩს ეყოფოდა.

**— ამ წაგებამ ხომ არ დაგთრგუნათ?**

— არა, ახლა რა დროს ყურების ჩამოყრაა. „შალკეში“ სხვა პრობლემებია, თორემ ფსიქოლოგიურად გატეხილები არ ვართ.

**— პრობლემებში ტრავმებს გულისხმობ?**

— დიახ. ტრავმებს ისიც დაემატა, რომ ბრაზილიელ ლინკოლნს ხუთმატჩიანი დისკვალიფიკაცია გამოუწერეს. ისე, „შალკეს“ ამ სეზონში ოპტიმალური შემადგენლობით თითქმის არ უთამაშია, ხან ვინ გვაკლია, ხან ვინ... იგივე ლინკოლნის გარეშე პირველ წრეში ექვსი-შვიდი მატჩი ჩავატარეთ.

**— „შალკე“ — „ლევერკუზენის“ თამაშისას ლინკოლნსა და ბერნდ შნაიდერს შორის ჩხუბზე რამდენიმე ვერსიაა. რეალურად რა მოხდა?**

— ფაქტია, ლინკოლნმა სახეში ხელი ჩაარტყა შნაიდერს. თვითონ ლინკოლნი ამბობს, შნაიდერმა უხამსი სიტყვები მითხრა, პროვოკაციაზე წამომაგოო, მაგრამ ამის გამო სასჯელს არავინ აცდენდა.

**— პრობლემების მიუხედავად, „შალკეს“ ჩემპიონობის ისეთი შანსი აქვს, ბოლო წლებში რომ არ ჰქონია.**

— ამის გამო ცაში არ დავფრინავ. ყოველ შემთხვევაში, მე ასე ვარ და თანაგუნდელებს რომ ვუყურებ, ისინიც „მიწაზე“ არიან. ეიფორია დამღუპველი იქნება. დარწმუნებული ვარ, „შტუტგარტს“, „ვერდერსა“ და „ბაიერნს“ ჩემპიონობის იმედი აქვთ და დარჩენილ თამაშებს თავს შეაკლავენ.

**— მეორე ადგილზე „შტუტგარტია“, რომელიც ფეხბურთელთა კონტინგენტით არ გამოირჩევა. მთავარ საფრთხეს მაინც „ბაიერნისგან“ ელით?**

— „შტუტგარტზე“ ვერავინ იტყვის, დაუმსახურებლადაა მეორე ადგილზეო — გამართულ ფეხბურთს თამაშობენ. ჩემპიონატის დაწყებამდე არც „შალკე“ ითვლებოდა მთავარ ფავორიტად, ჩვენზე წინ „ბაიერნსა“ და „ვერდერს“ აყენებდნენ, მაგრამ დღეს სხვა ვითარებაა. სასიხარულოა, რომ „შალკეს“ კი არ უნდა ეშინოდეს მეტოქეების, მეტოქეებს უნდა ეშინოდეთ „შალკესი“. ყველაფერი ჩვენზეა დამოკიდებული, თუ დარჩენილ ტურებს სტაბილურად ჩავატარებთ, სამივე მდევარს შანსს მოვუსპობთ — მათ უნდა ინატრონ, რომ ქულები დავკარგოთ.

**— ახლა საქართველოს ნაკრებზეც, კერძოდ თურქეთთან ამხანაგურ მატჩზე, რომელიც ტრავმის გამო გამოტოვე...**

— ნაკრებმა ძალიან კარგად ითამაშა. უფრო ის მახარებს, რომ ავტორიტეტების რიდი აღარ გვაქვს. ადრე თუ გრანდებს ვხვდებოდით და იმაზე ვფიქრობდით, 0:4 არ წავაგოთო, ახლა ასე აღარაა. ნაკრები სწორ გზას ადგას, ტაქტიკურად გამართულად თამაშობს.

**— „შალკეში“ შენმა თურქმა თანაგუნდელებმა — ჰამიტ და ჰალილ ალტინტოპებმა რა გითხრეს ამ თამაშზე?**

— ცხადია, ნასიამოვნებები არ დარჩენილან. რაღაც მიზეზებს ჰყვებოდნენ, მსაჯობა არ იყო სამართლიანიო, მაგრამ თურქეთის ნაკრები რომ 90 წუთის განმავლობაში მხოლოდ ერთ საგოლე მომენტს შექმნის, რაღაზეა ლაპარაკი... მსაჯს შედეგზე არავითარი გავლენა არ მოუხდენია და ერთ-ორ ეპიზოდში თუ ჯარიმა არასწორად დანიშნა, ამის გამო ჯოხის მასზე გადატეხვა არასწორია. სამაგიეროდ, თურქებმა იმდენი იუხეშეს, მადლობა თქვან, წითელ ბარათებს რომ გადარჩნენ.

**— ურუგვაისთან და თურქეთთან წარმატება შოტლანდიასთან თამაშის წინ დიდი ფსიქოლოგიური პლუსია?**

— მთავარია, თავი არ დავკარგოთ. ორი ამხანაგური მატჩის მოგება იმას არ ნიშნავს, რომ შოტლანდიიდან აუცილებლად სამ ქულას წამოვიღებთ. ძნელი თამაში გვექნება — რაც არ უნდა იყოს, შოტლანდია ჯგუფის ლიდერია და ჩვენთანაც ფავორიტია, თუნდაც იმიტომ, რომ შინ თამაშობს.

**ილია ნანობაშვილი**





# რკინა მენთეშაშვილმაც უნდა გამოადნოს?

**ზურაბ მენთეშაშვილი** ზაპოროჟიეს „მეტალურგშია“ და სავარაუდოდ კონტრაქტსაც მალე გააფორმებს.

„გუნდი დღეს ჩამოვიდა უცხოური შეკრებიდან და ახალწვეული მხოლოდ მენთეშაშვილია. „მეტალურგის“ მწვრთნელმა იგი გუნდს წარუდგინა. მენთეშაშვილს ვიცნობთ, როგორც საქართველოს ნაკრების ფეხბურთელს და მწვრთნელიც კმაყოფილია მისი აქ ყოფნით“ — გვითხრა „მეტალურგის“ წარმომადგენელმა, როდესაც კლუბის ბაზაზე დავრეკეთ.

26 წლის საყრდენი ნახევარმცველი, რომელიც კლაუს ტოპმიოლერის ნაკრების ძირითადში თითქმის მუდმივად ხვდება, ბოლოს რიგაში ვარჯიშობდა და ფორმას ინარჩუნებდა. მანამდე კი მენთეშაშვილი თბილისში იყო და რუსთავის „ოლიმპში“ რამდენჯერმე ივარჯიშა. რუსთაველთა თავკაც რევაზ ძოძუაშვილს ზურაბის იჯარით აყვანა სურდა სეზონის ბოლომდე, თუმც ამ საქმიდან, ალბათ, არაფერი გამოვა.

ძოძუაშვილმა გუშინ გვითხრა, მენთეშაშვილი „მეტალურგში“ თუ ჩაირიცხა, ხომ კარგი, თუ არადა, მოლაპარაკებებს კიდევ შევეცდებითო.

ზაპოროჟიული გუნდი უკრაინის ჩემპიონატში მეთორმეტე ადგილზეა. დავით კვირკველია და ირაკლი მოდებაძე კი „მეტალურგის“ ერთ-ერთი ლიდერები არიან და ვნახოთ, გასამდება თუ არა ქართული ლეგიონი...

**ილია ნანობაშვილი**

# ციმაკურიძის ილიჩევეცი დღეს-ხვალ გადაწყდება



**საქართველოს** ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი კაპიტანი გიორგი ციმაკურიძე ზაპოროჟიეს „მეტალურგიდან“ წამოვიდა და მარიუპოლის „ილიჩევეცში“ ისინჯება. მარიუპოლელთა მწვრთნელმა ივან ბალანმა თქვა, ციმაკურიძესთან და კიდევ ერთ მცველთან კონტრაქტს გავაფორმებთ თუ არა, ამ დღეებში გადაწყდებაო.

უკრაინული ვებგვერდების ცნობით კი ტრანსფერი გადაწყვეტილია, მწვრთნელს ორივე პოტენციური ახალწვეული მოსწონს და კლუბის ხელმძღვანელობაც ახალი ფეხბურთელების შეძენას ეშურებაო.

„ილიჩევეცმა“ შარშანდელი სეზონი მესამე ადგილზე დაასრულა, ხოლო წლეულს ცხრილის შუაგულშია. ციმაკურიძის შარშანდელი კლუბი ალჩევსკის „სტალი“ კი ბოლო საფეხურზეა.

**ილია ნანობაშვილი**

# რომ არა ქასრაშვილი, ჩიხურაში არ მივიდოდი

## რატომ გადავიდა საუკეთესო მეგოლე მაჩანჩალა გუნდში

ჯაბა დვალი თბილისის „დინამომ" ჯერ წინა სეზონის პირველ წრეში გაანათხოვრა ბოლნისის „სიონში". დვალმა მაშინ პირველი წრე ჩემპიონატის ბომბარდირობით ჩაამთავრა და „დინამოში" დააბრუნეს. ჯაბამ ანდრეი ჩერნიშოვის გაწვრთნილ „დინამოშიც" გააგრძელა გოლების გატანა და მეჩვიდმეტე ეროვნული ჩემპიონატის მთავარმეგოლე შეიქნა.

მიმდინარე სეზონის პირველი წრის შემდეგ დვალი ხელმეორედ განათხოვრეს „დინამოდან" და საჩხერის „ჩიხურაში" ამოჩნდა.

რატომ უწევს მეგოლე კაცს აქეთიქით სიარული? რატომ ვერ დამკვიდრდა დვალი „დინამოში" და რატომ გადავიდა მაინცდამაინც „ჩიხურაში"?

დვალს ამ კითხვების გარდა სხვაზეც ვესაუბრეთ...



მეორე წრის პირველ შეხვედრაში „ამერთან" ჯაბა დვალი „ჩიხურადან" საუკეთესო იყო

— რა არის „დინამოდან" შენი წამოსვლის მთავარი მიზეზი?

— უბრალოდ, „დინამოში" არ მათამაშებდნენ და როცა თამაში არ გიწევს, „დინამოში" ხარ თუ მადრიდის „რეალში", გუნდში ასეთ ყოფნას აზრი არ აქვს. თამაში გინდოდა და „დინამოდანაც" ამიტომ წამოვედი.

— მიმდინარე სეზონის პირველ წრეში რამდენჯერმე მოგიწია „დინამოში" თამაში — ალბათ მწვრთნელის გემოვნებაში ვერ ჩაჯექი, ან უბრალოდ „დინამო" მაინც „დინამოა" — ამ გუნდში ხომ განსაკუთრებულად ძნელია ფეხის მოკიდება...

— ჩემთვის „დინამოში" ფეხის მოკიდება ძნელი არ ყოფილა, ბოლოს და ბოლოს „დინამოში" გავხდი ეროვნული ჩემპიონატის ბომბარდირი. არ ვიცი, მწვრთნელის გემოვნებაში როგორ ვჯდებოდი, „დინამოსთან" კონტრაქტი მაისში მეწურება და ამ გუნდში ალბათ აღარ ვითამაშებ.

— „დინამოდან" იმ გუნდში გადახვედი, რომელიც ჩემპიონატში ბოლოდან მესამე, მეთორმეტე ადგილზეა — რატომ მაინცდამაინც „ჩიხურაში"? თანაც „ჩიხურაში" მეორე წრის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე გადახვედი...

— „ჩიხურამდე" გაცილებით უფრო ამბიციურ გუნდებში მინდოდა გადასვლა, მაგრამ „დინამომ" არ გამიშვა, რადგან ის გუნდები „დინამოს" კონკურენტები არიან. ისე, „ჩიხურაში" „დინამოს" წინააღმდეგ ამ სეზონში ვერც თასზე ვითამაშებ და ვერც ჩემპიონატში — ასეთია შეთანხმება.

— სეზონი რომ დასრულდება, ახალი გუნდი უკვე შეგულებული გაქვს?

— სეზონი რომ დასრულდება, მერე მეცოდინება, სად გადავალ.

— „ჩიხურაში" რა ვითარებაა, გუნდის მიზანი ამ სეზონში მხოლოდ უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნებაა?

— „ჩიხურას" ფინანსურად არ ულხინს, რაც შეგვიძლია, ყველაფერს გავაკეთებთ, რომ უმაღლესში დავრჩეთ.

— შეტევაში შენი მეწყვილე გიორგი მიქაძეა — რას უნდა ველოდოთ ამ დუეტისგან?

— ვფიქრობ, „ჩიხურა" მეორე წრეში ბევრ თამაშს მოიგებს, მე და მიქაძე კარგად ვეწყობით ერთმანეთს, ის გამოცდილი ფორვარდია.

— შარშან ბომბარდირი „დინამოში" გახდი, თუმც საუკეთესო პერიოდი ალბათ წინა სეზონის პირველ წრეში გქონდა ხვიჩა ქასრაშვილის „სიონში"...

— მასეა, „სიონში" გატარებულ პერიოდ ჩემთვის მართლაც ჩინებული იყო.

— და „ჩიხურაში" რომ ხარ, ალბათ უფრო იმიტომ, რომ ქასრაშვილია გუნდის თავკაცი...

— რა თქმა უნდა, ქასრაშვილი რომ არ ყოფილიყო „ჩიხურას" მწვრთნელი, ამ გუნდში არ მივიდოდი.

— პროგნოზზეც დაგეკითხებით — როგორ ფიქრობ, ჩემპიონობის უკეთესი შანსი რომელ გუნდს აქვს?

— ჩემპიონი „ოლიმპი", „ზესტაფონი" ან „ამერი" გახდება.

**დავით თავართქილაძე**

# ბჟალავას პირველი ავსტრიული

## დღეს მირზა ქართველებს შეხვდება



**პირველი** გოლი გაიტანა ლუშტენაუს „აუსტრიას" შემადგენლობაში მირზა ბჟალავამ.

„აუსტრია" საკონტროლო მატჩში „დუნაი ლინცს" შეხვდა და 4:1 მოუგო. ქართველი ფეხბურთელის ანგარიშზე გუნდის მესამე გოლია.

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრებისა და „ზესტაფონის" 19 წლის ნახევარმცველი დაახლოებით ერთი თვის წინ გადავიდა ავსტრიულ კლუბში. ავსტრიის მეორე ლიგა 16 მარტს განახლდება, სეზონის დაწყებამდე ბჟალავამ ყველა საკონტროლო მატჩში ითამაშა და საკმაოდ კარგადაც. „აუსტრიას" მთავარი მწვრთნელიც ჰაინც ფუშბილხერიც კმაყოფილია ქართველის გარჯით.

დღეს კი „აუსტრია" „ვენტსპილს" ესპარინგება, სადაც კიევის „დინამოდან" განათხოვრებული დავით იმედაშვილი და 19 წლის ლევან ჯღარკავა თამაშობენ.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**



მეორე ტირაჟისთვის საპრიზო ფონდი 2 000 ლარია

# ალეკო ამისულაშვილი ნალჩიკში აღარ ჩანს



**ფორმალობების** მოგვარების შემდეგ რუსეთის საფეხბურთო კავშირმა ნალჩიკის „სპარტაკს" ახალი ფეხბურთელების დამატების უფლება მისცა. ყაბარდოელებმაც რამდენიმე ფეხბურთელთან გააფორმეს კონტრაქტები, მაგრამ ამ სიაში არ არის ალეკო ამისულაშვილი — ჯერჯერობით ისევ უცნობია, სად გააგრძელებს კარიერას ეს მცველი.

ამასობაში ნალჩიკელებმა საკონტროლო მატჩი გამართეს ნიჟნი ნოვგოროდის „ვოლგასთან" და 1:0 მოიგეს. ყაბარდოელთა შემადგენლობაში სრულად ითამაშა ლევან გვაზავამ და ერთადერთი გოლიც სწორედ ქართველი ფეხბურთელის ნაკუთხურალს მოჰყვა.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ირანში მეორე და მესამე ქართველებისაა

**ირანის** ჩემპიონატის დასრულებას ათი ტური უკლია და ქართველთა გუნდები მოწინავე პოზიციებზე არიან — აქვსენტი გილაურის „ესტეგლალი" მეორე ადგილზეა, ხოლო ჯაბა მუჯირის „სეპაჰანი" მესამეზე და თეირანელებს შვიდი ქულით ჩამორჩება.

ტრავმის შემდეგ მუჯირმა ზედიზედ თერთმეტი მატჩი ითამაშა „სეპაჰანში", გუნდში კვლავაც ერთ-ერთი საკვანძო ფეხბურთელია. გილაურს კი ამ სეზონში ჯერ მწვრთნელთან შეექმნა პრობლემები, მერე კლუბთან, მაგრამ შემდეგ ყველაფერი მისდა სასიკეთოდ წარიმართა — „ესტეგლალში" ახალი მწვრთნელი, ჰოლანდიელი დე იონგი მივიდა და გილაურიც რიგიანად ათამაშდა.

თუმც სპარსეთის ჩემპიონატის ბოლო ტურში აქვსენტის არ უთამაშია — პირადი საკითხების გამო საქართველოში ჩამოვიდა რამდენიმე დღით.

**ნიკა ჯორჯაძე**



ჯაბა მუჯირი

# ეტოომ პელეს შეუტია



**დღეს** აფრიკის 2006 წლის საუკეთესო ფეხბურთელს დაასახელებენ. ცერემონია განის დედაქალაქ აკრაში გაიმართება, ფავორიტები კი სამნი არიან: სამუელ ეტოო, დიდიე დროგბა და მიკაელ ესიენი.

ბარსელონელმა ზედიზედ სამჯერ მოიგო ჯილდო და დღესაც თუ გაიმარჯვა, რეკორდს დაამყარებს. შარშან მან გამოკითხვაში მხოლოდ ორი ქულით გაუსწრო დროგბას.

აკრაში ასევე გამოავლენენ აფრიკის საუკეთესო მწვრთნელს, ეროვნულ ნაკრებს, კლუბს და ახალგაზრდა ფეხბურთელს.

ტრავმის გამო ოთხთვიანი მკურნალობის შემდეგ ეტოო გასულ უქმეებზე დაუბრუნდა მოედანს და „ბილბაოს" გაუტანა, დიდიე დროგბამ კი ლიგის თასის ფინალში „არსენალთან" დუბლი შეასრულა.

მიჯრით სამჯერ საუკეთესო ფეხბურთელის ჯილდო მხოლოდ განელ აბედი პელეს მოუგია, როცა „მარსელში" თამაშობდა. სამჯერ იყო საუკეთესო ლიბერიელი ჟორჟ ვეაც, მაგრამ არა ზედიზედ.

სამუელ ეტოომ შარშან პრიმერადივიზიონის ჩემპიონის ტიტული და ჩემპიონთა თასი დაისაკუთრა. შარშანვე აფრიკის ეროვნებათა თასზე, რომელიც ეგვიპტემ მოიგო, კამერუნელი ფორვარდი ხუთი გატანილით ბომბარდირი გახდა.

რაც შეეხება დიდიე დროგბას, ამჟამად 17 გოლით პრემიერლიგის მთავარმეგოლეა, სულ კი ამ სეზონში ყველა შეჯიბრში 27 მოაგროვა. კოტ დივუარის ნაკრები აფრიკის თასის ფინალშიც გავიდა და მსოფლიოს ჩემპიონატზეც, რაც კამერუნმა ვერ მოახერხა.

მიკაელ ესიენის განამ კი 2006-ის მუნდიალზე დებიუტანტის კვალობაზე საუცხოოდ ითამაშა და მერვედფინალში ბრაზილიასთან დამარცხდა.

**ვაჟა ხუციშვილი**


გუს ჰიდინკი და მისი ადვოკატი

# ჰიდინკს განაჩენი ტელეფონმა უთხრა

**სასამართლოზე,** რომელმაც გუს ჰიდინკს ექვსთვიანი პირობითი პატიმრობა მიუსაჯა, ბრალდებული არ გამოცხადდა. მას ამის უფლება ჰქონდა და ამიტომ არ ჩავიდა ეინდჰოვენიდან დენ ბოსხში. ჰიდინკს განაჩენი ადვოკატმა იან ცელიფელდმა ტელეფონით აცნობა.

„თავიდანვე მოვრიგდით, რომ ის სასამართლოზე არ მოვიდოდა — თქვა ადვოკატმა — ჩემი კლიენტისთვის ამ შემთხვევაში ეს საუკეთესო გადაწყვეტილება იყო. მისი მოსვლა მაინც არაფერს შეცვლიდა, ისედაც ბევრი ინერვიულა და დასვენება სჭირდებოდა. ტელეფონით რომ ველაპარაკე, განაჩენი მშვიდად მიიღო. ათი თვით ციხეში ყურყუტს ხომ ექვსთვიანი პირობითი სჯობს. მე კი მაინც ვამტკიცებ, რომ ჰიდინკი უდანაშაულოა. აპელაციის შესატანად ორი კვირა მოგვცეს, ოღონდ ახლა არ ვიცი, გავასაჩივრებთ თუ არა სასამართლოს გადაწყვეტილებას. ამაზე უნდა მოვილაპარაკოთ."

**ვაჟა ხუციშვილი**

# ბერტი ფოგთსი დაიკარგა

**ნიგერიის** ფეხბურთის ფედერაციაში დიდი არეულობაა — ნაკრების მწვრთნელი ბერტი ფოგთსი სამშაბათს უნდა ჩასულიყო ქვეყანაში და ჯერაც არ გამოჩენილა. გერმანელს ჩაუსვლელობის მიზეზად ოჯახური პრობლემა დაუსახელებია.

ნიგერიელები კი ეჭვობენ, რომ მიზეზი სულ სხვაა. იქაური მედიის ცნობით, ფოგთსისთვის არ მიუციათ წინასწარ შეპირებული სამი თვის ჯამაგირი 150 ათასი დოლარი. თუმც ფედერაციის წარმომადგენელი ტუნდე ადერიბიგლე საპირისპიროს ამტკიცებს: „ეს თანხა მის ანგარიშზე ორშაბათს დაჯდა. სამშაბათს კი დაგვირეკა და გვითხრა, რომ რაღაც პრობლემები აქვს. ჩამოსვლის ახალ თარიღს მოგვიანებით შეგვატყობინებს".

ბერტი ფოგთსმა „სუპერარწივებთან" ოთხწლიანი კონტრაქტი თებერვალში გააფორმა. პირველი ოფიციალური მატჩი 24 მარტს ელის — აფრიკის 2008 წლის ეროვნებათა თასის შესარჩევ შეხვედრაში ნიგერია უგანდას ეთამაშება.

ფოგთსმა აუსტინ ეგუავოენი შეცვალა, რომელმაც შარშან სექტემბერში დაიწუწუნა, ცხრა თვის ხელფასი არ მოუციათო.

**ვაჟა ხუციშვილი**

# მსაჯმა გააძევა, მსაჯი გააძევეს

**ბრაზილიელი** მსაჯი როდრიგო მარტინ სინტრა დისკვალიფიცირებულია იმის გამო, რომ ერთის ნაცვლად მეორე ფეხბურთელი გააძევა „კორინთიანს" — „რიო ბრანკოს" მატჩში. წესი რიოელმა ჟოზიასმა დაარღვია და გაფრთხილება უნდა მიეღო, მაგრამ სინტრა შეცდა და ფელიპეს უჩვენა ყვითელი ბარათი, რომლისთვისაც ეს მეორე გამოდგა.

# საინტერესო ალექსისი

**ფაბიო კანავაროს** და სერხიო რამოსის თამაშით უკმაყოფილო მადრიდის „რეალი" „ხეტაფეს" მცველ ალექსისით დაინტერესდა. ეს ამბავი „ევროსპორტს" ფეხბურთელის აგენტმა მანოლო კირონამ გაუმხილა. კირონას თქმით, ალექსისს „ბარსელონას" და „ვალენსიას" ვარიანტებიც აქვს.

# ყველაზე სწრაფი კალია

**„ცრვენა ზვეზდადან"** „გრასჰოპერში" განათხოვრებულმა აილტონმა „შპორტალთან" საუბარში განაცხადა, რომ ბუნდესლიგაში სიამოვნებით დაბრუნდება. „კალიებმა" მისი გოლით წინა ტურში „აარაუს" მოუგეს. აილტონს უთქვამს, ჩემზე სწრაფი ფორვარდი გერმანიის ჩემპიონატში ამჟამად არ მეგულებაო.

# პატრონი კაჩკარია

**უახლოეს** დღეებში „მარსელის" ახალი პატრონი ჟაკ კაჩკარი გახდება. ამის შესახებ „როიტერს" კანადელი ბიზნესმენის პრესმდივანმა განუცხადა: „გარიგება შედგა და დეტალებიღა დარჩა შესათანხმებელი, რაც კვირის ბოლომდე მოგვარდება".

კაჩკარი დაახლოებით 115 მილიონ ევროს გადაიხდის.

# ურიბერო ორკვირეული

**საფრანგეთის** ნაკრების და „მარსელის" ნახევარმცველი ფრანკ რიბერი ტრავმის გამო ორი კვირა დააკლდება გუნდს. იგი „ტულუზთან" 0:3 წაგებული მატჩის პირველივე ტაიმში შეცვალეს.

# ჯონი აიაქსის ნაწილია

**ამსტერდამის** „აიაქსის" მცველმა ჯონი ჰეიტინგამ კონტრაქტი 2011 წლამდე გაახანგრძლივა.

„შვიდი წლიდან ამ კლუბში ვარ და თავი უკვე „აიაქსის" ნაწილად მიმაჩნია. ყველასთან კარგი ურთიერთობა მაქვს და საზღვარგარეთ წასვლას ჯერ არ ვაპირებ" — თქვა ჰეიტინგამ.

# თვრამეტიანი რობინიო

**რობინიოს** აგენტმა ვაგნერ რიბეირუმ განაცხადა, რომ ბრაზილიელი 18 მილიონი ევრო ღირს და ამდენი უნდა გადაიხადოს მისმა მსურველმა კლუბმა. მხოლოდ ამ პირობებით დათმობს „რეალი" რობინიოს, რომლის შეძენასაც „მილანი" და „არსენალი" ეშურებიან.

„იანვარში რობინიოს გაყიდვაზე მადრიდელებმა უარი თქვეს, მაგრამ ახლა ვითარება შეიცვალა და ვალდებული ვარ, ფეხბურთელის მომავალზე ვიზრუნო" — თქვა რიბეირუმ.

**ვაჟა ხუციშვილი**

# კასილიასი კაპელოს შარვალში ჩაუძვრა

**მადრიდის** „ვისენტე კალდერონზე" რამდენიმე დღის წინ გამართული დერბი „ატლეტიკოსა" და „რეალს" შორის 1:1 დასრულდა.

„სამეფო გუნდი" იმ შეხვედრაში არცთუ კარგად გამოიყურებოდა, რითაც მეკარე იკერ კასილიასი ძალიან უკმაყოფილო დარჩა.

კამერებმა დააფიქსირეს, როგორ იგინებოდა „რეალის" მეკარე მატჩისას. მთავარი კი ეს ფრაზა იყო: „ფაბიო, ფაბიო, ყვ...რები უნდა გამოაჩინო, ყვ...რები უნდა გამოჩინო, თორემ ცოცხლად გვჭამენ".

ბუნებრივია, მიხვდებოდით, რომ განერვიულებელი კასილიასის ეს სიტყვები „სამეფო გუნდის" მთავარ მწვრთნელ ფაბიო კაპელოსკენ იყო მიმართული.



„ყველა ადამიანს ემოციების გამოხატვის თავისებური ხერხი აქვს. მხოლოდ 15 წუთი იყო გასული და უკვე ვაგებდით, თან მეტოქეს მეორე გოლი არ ჩაუთვალეს. ფაქტია, არც „უელვას" ვეთამაშებოდით და არც „დეპორტივოს". ლაპარაკი მადრიდულ დერბიზეა, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია და მის შედეგს დიდი ფასი აქვს. ზოგი ემოციებს აგრესიით გამოხატავს, ზოგი მშვიდად რჩება, ზოგსაც გულის ნადები უზრდელური სიტყვებით ამოაქვს. ეს ხანდახან ხდება და ნორმალურია" — თავი იმართლა კასილიასმა.

„ატლეტიკო" ფერნანდო ტორესის გოლით თავიდანვე დაწინაურდა და მალევე მეორეც შეაგდო. თუმცა მსაჯმა დაუდენ იბანიესმა ბურთი არ ჩათვალა და მისი ეს შეცდომა „რეალის" პირველმა ნომერმაც აღიარა.

იკერ კასილიასი: „თავიდან ვიფიქრე, რომ მსაჯი პენალტს ნიშნავდა, მერე ჩავთვალე, რომ თამაშგარე მდგომარეობა იყო. თუმცა, როცა ვიდეოჩანაწერი ვნახე, ვერ გავიგე, რატომ არ ჩაითვალა გოლი. ამ შეცდომამ გადაგვარჩინა, რადგან 0:2-ის ამოქაჩვა უკვე ძალიან ძნელი იქნებოდა. არა უშავს, არბიტრების შეცდომებით ჩვენც დავზარალებულვართ".

**გიორგი ძაძაბაძე**

# რუსებმა, მი ტოჟე ლიუდიო

**რუსეთის** საფეხბურთო კავშირმა გადაწყვიტა, 2016 წლის ევროპის ჩემპიონატის მასპინძლობაზე უეფაში განაცხადი შეიტანოს.

საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტმა ვიტალი მუტკომ განაცხადა, რომ ამაზე უკვე სერიოზულად ფიქრობს და უახლოეს მომავალში ყველა საჭირო საბუთს შეაგროვებს შვეიცარიაში მდებარე შტაბბინაში გასაგზავნად.

რუსები მზად არიან, უეფას მოთხოვნები შეასრულონ და ევროპის ჩემპიონატის საორგანიზაციო საკითხების მოსაგვარებლად აქამდე არნახული თანხა დახარჯონ.

**ძახა შალამბერიძე**

# რონალდინიოს თურმე ნაწილ-ნაწილ იყიდიან



**იტალიური** „გაძეტა დელო სპორტის" ცნობით, რონალდინიოს ყიდვას „მილანი"... პლასტიკური ბარათით აპირებს — გაზეთი ამტკიცებს, რომ ამის თაობაზე კლუბის ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ განაცხადა.

გალიანის გეგმა ასეთია: მალე „მილანი" საკრედიტო ბარათს — CARTA VIVA MILAN — გამოუშვებს, რომელიც „მასტერკარდის" სისტემაში შედის. ვიცე-პრეზიდენტის გათვლით, ამ ბარათს დაახლოებით 8 მილიონი ქომაგი შეიძენს და კლუბის ბიუჯეტში ფული გაჩნდება.

რონალდინიოს კონტრაქტი „ბარსელონასთან" 2010 წლამდე აქვს და მისი გაწყვეტა 125 მილიონი ევრო ღირს, თუმც რაც უფრო გადის დრო, ფასი კლებულობს და მილანელებს ამის ეიმედებათ.

„შავ-წითლები" თანხის გადახდას ნაწილ-ნაწილ აპირებენ, თუკი ამაზე „ბარსელონა" დათანხმდება.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ჩემი ტოტი ჩემი რომაა

**ფრანჩესკო ტოტიმ** ახსნა, რატომ ამბობს უარს იტალიის ნაკრებში თამაშზე და აღნიშნა, რომ მისთვის პირველ ადგილზე ყოველთვის „რომა" იქნება.

შეგახსენებთ, რომ 30 წლის ფეხბურთელს „სკუადრა აძურას" ღირსება მსოფლიოს ჩემპიონატის მერე აღარ დაუცავს.

„როცა ყოველ სამ დღეში გიწევს თამაში, დასვენება გჭირდება. ამიტომ გადავწყვიტე, „სკუადრა აძურაში" აღარ ვითამაშო. თუმცა იტალიის ნაკრების ღირსების დაცვა ჩემთვის დიდი პატივია. ნამდვილად არ ვფიქრობ, რომ, რადგან მსოფლიოს ჩემპიონატი მოვიგე, ვინმეზე უკეთესი ვარ. რობერტო დონადონის არაერთხელ ველაპარაკე და ავუხსენი, რომ ფეხში დამცავი მეტალის ფირფიტით თამაში ადვილი არ არის" — თქვა ტოტიმ.

„გლადიატორთა" მეათე ნომერმა დაახლოებით ერთი წლის წინ მიიღო კოჭის ტრავმა და მას მერე ფეხში მეტალის ფირფიტა აქვს. ასე თამაში ტოტის ალბათ მომავალ სეზონამდე მოუწევს და ამბობს, სანამ ამ ფირფიტას არ ამომიღებენ, ნაკრებში არ ვითამაშებო.

„ეროვნული ნაკრები ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავს — აგრძელებს ტოტი — თუმცა ახლა კლუბს ზურგს ვერ ვაქცევ და, საერთოდაც, ჩემთვის პირველი ნომერი ყოველთვის „რომა" იქნება."

ტოტი ცოტა ხნის წინ უკვე გახდა „ჯალოროსის" რეკორდსმენი ჩატარებული მატჩების მიხედვით. სერია A-ში კი მას 139 გოლი აქვს გატანილი და, სულ მცირე, კიდევ 61-ის შეგდებაზე ოცნებობს.

„კარიერას რომ დავასრულებ, მინდა, ორასგოლიანი ბარიერი გადალახული მქონდეს. ალბათ, კიდევ ხუთი წელი მაინც ვითამაშებ და იმედია, ამას მივაღწევ. არ ვამბობ, რომ სეზონში 20-25 გოლს აუცილებლად გავიტან, მაგრამ ვეცდები, რაც შეიძლება, მეტი შევაგდო" — აღნიშნა „ჯალოროსის" კაპიტანმა.

**გიორგი ძაძაბაძე**



# არ მოუწერია, არ მოუწერია!

**რა** კონტრაქტი, რის კონტრაქტი, გაბრაზდა რობერტო მანჩინი, რომელმაც ჟურნალ „კონტროკამპოს" ინფორმაცია უარყო. ჟურნალის ცნობით, „ინტერის" მწვრთნელმა კლუბთან ხელშეკრულება სამი წლით გაახანგრძლივა, მაგრამ მანჩინიმ ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, ხელი არ მომიწერიაო.

„არ ვიცი, საიდან მოიტანეს ეს ამბავი — თქვა მან გუშინ, „უდინეზესთან" მატჩის წინ — როცა ეს მოხდება, კლუბი ოფიციალურად გააცხადებს. ყოველთვის ვამბობდი, რომ მასიმო მორატისთან ურთიერთობაში პრობლემა არ მაქვს, მაგრამ ახლა სერია A-ზე და „ვალენსიასთან" თამაშზე ვფიქრობ. დაზუსტებით ვერ ვიტყვი, როდის განვაახლებ კონტრაქტს."

**ვაჟა ხუციშვილი**

# ინტერმა მომავალი დაიცვა



**მილანის** „ინტერმა" თავის ახალგაზრდა თავდამსხმელ გორან სლავკოვსკისთან კონტრაქტი 2010 წლამდე გააზანგრძლივა. ამით წერტილი დაესვა ჭორებს, „მალმიოს" ექსფორვარდის „მანჩესტერში" შესაძლო გადასვლის თაობაზე. 17 წლის სლავკოვსკი „ინტერის" ახალგაზრდული გუნდის ერთ-ერთი ლიდერია.

„ძალიან კმაყოფილები ვართ ამ შეთანხმებით. რაკი „ინტერმა" გორანთან ხანგრძლივი კონტრაქტი გააფორმა, ესე იგი, კლუბს მის შესაძლებლობებში ეჭვი არ ეპარება" — თქვა სლავკოვსკის აგენტმა ჯოზო პალაჩმა.

სლავკოვსკი შვედეთშია დაბადებული, მაგრამ წარმოშობით მაკედონიელია. თამაშობს შვედეთის ახალგაზრდულ ნაკრებში.

სლავკოვსკი უკვე გახდა „ინტერის" რეკორდსმენი, როგორც ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელი, რომელსაც „ნეროაძურის" მაისურით სერია A-ში უთამაშია. მისი დებიუტი შარშან მაისში „სიენასთან" შედგა, როცა იგი 17 წლის და ერთის თვის იყო.

**ბოძი ძანდელაძე**



# შეუერთდით ლეილანის!

**პამიდვრის** აკენწვლა შეგიძლიათ? აი, ლეილანის კი შეუძლია.

და ვინაა ლეილანი ჭიპზე O2-ით? „არსენალის" ფანია, რომელიც კლიპში გადაიღეს და მთელ ინგლისს ტურნირზე ეპატიჟება. იქ, ლონდონში მოსახვედრად, ბრიტანეთის სამეფოს იმ მოქალაქეებმა, რომელთაც ფეხბურთის ბურთით, გოლფის ბურთით თუ პამიდვრით ან სხვა მრგვალი საგნით ჯადოქრობები ეხერხებათ, ვიდეოფირზე გადაღებული თავიანთი კენწლაობა და ფინტები ორგანიზატორებს უნდა გაუგზავნონ. საუკეთესოებს შეარჩევენ და შეჯიბრიც შედგება — ხუთი ხუთზე ფეხბურთს ითამაშებენ.

ფინალურ მატჩს „არსენალის" ახალი სტადიონი მაისში უმასპინძლებს.

**ვაჟა ხუციშვილი**

## ბრაიდა: ვეძებთ დარაჯს

**„მილანი"** დიდას შემცვლელს ეძებს, რადგან ბრაზილიელი კონტრაქტის განახლებას არ აპირებს. „შავ-წითელთა" სატრანსფერო საქმეების შეფმა არიედო ბრაიდამ სია ჩამოწერა, რომელშიც პირველი ჯანლუიჯი ბუფონია, მაგრამ „იუვეს" მეკარისთვის „ინტერიც" იბრძვის. მეორე ლივორნოელი მარკო ამელიაა, რომელმაც იანვარში მოსკოვის „სპარტაკში" გადასვლა იუარა. გარდა ამისა, ბრაიდას სიაში არიან „სელტიკის" მეკარე არტურ ბორუცი, „ლიონის" გოლკიპერი გრეგორი კუპე და „რივერ პლეიტის" 22 წლის მეკარე ხუან პაბლო კარისო.

## ზღაპარი მეგობარ გოგონაზე

**მარკო ბორიელოს** სამთვიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს და ეს სამი თვე 21 მარტს იწურება — „მილანის" ნახევარმცველმა „რომასთან" მატჩის შემდეგ, 1 ნოემბერს გაიარა დოპინგ-ტესტი და სისხლში აკრძალული პრეპარატის არსებობა 21 დეკემბერს დაუდგინეს.

ბორიელომ თავი იმით იმართლა, მეგობარმა გოგონამ კოსმეტიკური საცხი წამისვა და ის რაღაც სისხლში ამ გზით მოხვდაო.

## მატერაცის მამა ჩამობარდა

**მარკო მატერაცის** მამა ჯუზეპე სერია B-ს „ბარის" მწვრთნელად დანიშნეს. 61 წლის მატერაცი ამ გუნდში 1992-1996 წლებშიც მუშაობდა, ბოლოს კი ჩინეთში იყო და „ტელას" თავკაცობდა.

„ბარი" ამჟამად მე-13 ადგილზეა.

**ვაჟა ხუციშვილი**

## გერმანია

თასის მეოთხედფინალი

*ნიურნბერგი* 0:0 (პენ.4:2) *ჰანოვერი*

*ვოლფსბურგი* 2:0 *ალემანია*

1:0 კლიმოვიჩი (12), 2:0 მარსელინიო (25)

ოფენბახი 0:3 *აინტრახტი*

0:1 ფინკი (11), 0:2, 0:3 ტაკაჰარა (61, 72)

## საფრანგეთი

თასის მეოთხედფინალი

სედანი 1:1დ.დ. (პენ.5:6, 1:1) *ნანტი*

1:0 პუჟოლი (13), 1:1 კესერუ (14)

*მარსელი* 5:0 ვანი

1:0 ნიანგი (1), 2:0 მაულიდა (313), 3:0 სისე (613), 4:0 მაულიდა (65), 5:0 პაგისი (89)

Copa Toyota Libertadores '2007

## ლიბერტადორესის თასი 2007

I ჯგუფი. II ტური

**ბანფილდი (არგენტინა) 4:1 ელ ნასიონალი (ეკვადორი)**

1:0 ცვიტანიჩი (7), 1:1 კარსელენი (22), 2:1, 3:1 ანდრიცი (24, 28), 4:1 ლუკეტი (643)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბანფილდი | 2 | 1 | 0 | 1 | 4:2 | 3 |
| ამერიკა | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| ლიბერტადი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| ელ ნასიონალი | 2 | 0 | 0 | 2 | 2:6 | 0 |

III ჯგუფი. II ტური

**გრემიო (ბრაზილია) 0:0 კუკუტა დეპორტივო (კოლუმბია)**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გრემიო | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | 4 |
| კუკუტა დეპორტივო | 2 | 0 | 2 | 0 | 0:0 | 2 |
| დეპორტეს ტოლიმა | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| სერო პორტენო | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |

VII ჯგუფი. II ტური

**ტოლუკა (მექსიკა) 1:2 ბოლივარი (ბოლივია)**

1:0 ჰ. და სილვა (2), 1:1 ვილიანტი (54), 1:2 სილერო (59)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოლივარი | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| ტოლუკა | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| ბოკა ხუნიორსი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| სიენსიანო | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |

# იტალია
## სერია A
## XXVI ტური

### პალერმო 0:0 მილანი
პალერმო: ა. ფონტანა, ძაკარდო, ბიაჯა, ბარძალი, მ. პიზანო, დიანა, კორინი (სიმპლისიო 9), გუანა, ბრეშიანო (ჯოვანი ტედესკო 70), დი მიკელე, კარაჩოლო (მატუსიაკი 69)
მწვრთნელი: ფრანჩესკო გვიდოლინი
მილანი: დიდა, ბროკი, შიმიჩი, ბონერა, ფავალი, გატუზო, პირლო, ამბროზინი, ზეედორფი (გურკუფი 71), კაკა, ჯილარდინო (რონალდო 71)
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
გაფრთხილება: ფონტანა, ფავალი, ბონერა, გუანა, პიზანო
მსაჯი: ტრეფოლონი
34 000 მაყურებელი

### ინტერი 1:1 უდინეზე
0:1 ობოდო (47), 1:1 კრესპო (66)
ინტერი: ტოლდო, მაიკონი, კორდობა, მატერაცი, გროსო (მ. გონსალესი 86), ფიგუ, ხ. ძანეტი, ბურდისო, სოლარი (მაქსველი 62), ადრიანო (კრესპო 36), იბრაჰიმოვიჩი
მწვრთნელი: რობერტო მანჩინი
უდინეზე: დე სანქტისი, საპატა, ნატალი, კოდა, მ. მოტა (ზაპოტოჩნი 75), პინცი, ობოდო, მუნტარი, დოსენა, გიანი (გ. დაგოსტინო 79), დი ნატალე (სიკეირა 69)
მწვრთნელი: ალბერტო მალეზანი
გაფრთხილება: კრესპო, ნატალი, დე სანქტისი, ბურდისო
მსაჯი: ბერგონცი
45 000 მაყურებელი

### კიევო 2:2 რომა
1:0 ბოგდანი (17), 2:0 სემიოლი (33), 2:1, 2:2 ტოტი (34, 48)
კიევო: სკიცი, ფ. მორო, მანდელი, დანა, მარკეზე (მალაგო 75), სამარკო, მარკოლინი, ბრიგი, ობინა (პელისიერი 22), ბოგდანი (კოცოლინო 63), სემიოლი
მწვრთნელი: ლუიჯი დელ ნერი
რომა: ა. დონი, კასეტი, მექსეში, კიუ (ფერარი 76), ტონეტო, დე როსი, დ. პიზარო, ვილჰელმსონი, პეროტა (როზი 89), ტავანო (ვუჩინიჩი 61), ტოტი
მწვრთნელი: ლუჩანო სპალეტი
გაფრთხილება: ბოგდანი, პიზარო, პეროტა, ფერარი, მექსეში
მსაჯი: ბერტინი
10 000 მაყურებელი

### ლაციო 3:1 კატანია
0:1 კოლუჩი (17), 1:1 პანდევი (60), 2:1 სივილია (88), 3:1 როკი (90)
ლაციო: ბალოტა, ბელერი (მუდინგაი 39), სივილია, კრიბარი, ძაური, ბეჰრამი, ლედესმა, მუტარელი, მაური (ლ. ხიმენესი 54), როკი, პანდევი (ტარე 75)
მწვრთნელი: დელიო როსი
კატანია: პანტანელი, ლუჩენტი, სოტილი, სტოვინი, ვარგასი, ბაიოკო, ედუსეი (მორიმოტო 90), კაზერტა, ჯ. კოლუჩი, კორონა (როსინი 82), მასკარა (იცკო 78)
მწვრთნელი: პასკუალე მარინო
გაფრთხილება: ლუჩენტი, ბელერი, სოტილი, პანტანელი, კაზერტა, მუდინგაი, მუტარელი
მსაჯი: როკი
43 000 მაყურებელი

### ემპოლი 3:1 მესინა
1:0 საუდატი (14), 2:0 მარცორატი (35), 3:0 საუდატი (62), 3:1 ალვარესი (89)
ემპოლი: ბალი, რაჯი, პრატალი, მარცორატი, ტოსტო, ბუშე, ალმირონი (მარიანინი 72), დ. მორო (ფიჩინი 72), ვანუკი, პოცი (მატეინი 68), საუდატი
მწვრთნელი: ლუიჯი კანი
მესინა: კალიონი, ლავეკია, რეა, ძანკი, პარიზი (იულიანო 60), კანდელა, მაზიელო (ე. ალვარესი 49), დე ვეცე, კორდოვა (პესტრინი 87), ჯალლომბარდო, ფლოჩარი
მწვრთნელი: ალბერტო კავაზინი
გაფრთხილება: ჯალლომბარდო, საუდატი, იულიანო
გაძევება: დე ვეცე (55)
მსაჯი: დე მარკო
12 000 მაყურებელი

### სამპდორია 2:1 ატალანტა
0:1 ვენტოლა (8), 1:1 ბაცანი (71), 2:1 ვოლპი (83)
სამპდორია: კასტელაცი, მაჯო, აკარდი, ფალკონე, ჯ. ძენონი (ჯ. დელვეკიო 57), ბასტრინი (პიერი 67), პალომბო, ვოლპი, დ. ფრანჩესკინი (ციგლერი 46), ბაცანი, კალიარელა
მწვრთნელი: ვალტერ ნოველინო
ატალანტა: კალდერონი, რივალტა, ტალამონტი, ლორია, ბელინი, დეფენდი (ფერეირა პინტუ 74), მილიაჩო, დონატი, ტისონე, ბომბარდინი (არიატი 64), ვენტოლა (ძამპანა 80)
მწვრთნელი: სტეფანო კოლანტუონო
გაფრთხილება: ლორია, ბელინი, აკარდი, ვოლპი
მსაჯი: ორზატო
22 000 მაყურებელი

### რეჯინა 1:1 ფიორენტინა
1:0 ფოჯა (12), 1:1 მუტუ (873)
რეჯინა: კამპანოლო, ლანძარო (ჯიოზა 52), ა. ლუკარელი, არონიკა, ფოჯა (მისიროლი 74), ტონოცი, ჯაკომო ტედესკო, მოდესტო, ამერინი, ვიჯანი (ნარდინი 90), ბიანკი
მწვრთნელი: ვალტერ მაცარი
ფიორენტინა: ფრეი, უიფალუში, დაინელი, გამბერინი, პასკუალი, პაზიენცა, ლივერანი (პაცინი 65), მონტოლივო, იორგენსენი (რეგინალდო 72), ტონი, მუტუ (ბლაზი 88)
მწვრთნელი: ჩეზარე პრანდელი
გაფრთხილება: ლანძარო, ლივერანი, პაზიენცა, ბიანკი, ჯიოზა, მონტოლივო, არონიკა
მსაჯი: რიცოლი
18 000 მაყურებელი

### სიენა 0:0 ლივორნო
სიენა: მანინგერი, ბერტოტო, გასტალდელო, პორტანოვა, მოლინარო, ანტონინი, კოდრეა (ერიომენკო 85), ვერგასოლა, კოცა (ლოკატელი 66), ფრიკი (კორვია 66), მაკარონე
მწვრთნელი: მარიო ბერეტა
ლივორნო: ამელია, გრანდონი, რეზაეი, გალანტე, პასკუალე, პფერცელი, ჯ. კოპოლა (მორონე 60), პასონი, სეზარი, ჯ. ლუკარელი, პაულინიუ (ვიდიგალი 78)
მწვრთნელი: დანიელე არიგონი
გაფრთხილება: პაულინიუ, პასონი
მსაჯი: დონდარინი
15 000 მაყურებელი

### ასკოლი 0:0 პარმა
ასკოლი: ელეფთეროპულოსი, კორალო, მელარა, ნასტაზე, ვასტოლა, პ. ძანეტი, ბონანი, პესკე (ჯამპა 81), გუბერტი (ნიაბამფუმუ 58), პაოლუჩი (პერული 74), სონჩინი
მწვრთნელი: ნედო სონეტი
პარმა: ბუჩი, ფ. კოლი, პაჩი, ფ. კოუტუ, კონტინი, ბოჯეტი (პიზანუ 63), გრელა, პარავიჩინი, დესენა (გასბარონი 62), ჯ. როსი (მუსლიმოვიჩი 46), ბუდანი
მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი
გაფრთხილება: ბონანი, გრელა, ძანეტი, ბონანი, ვასტოლა
გაძევება: ბონანი (57)
მსაჯი: პაპარესტა
5 000 მაყურებელი

### ტორინო 1:0 კალიარი
1:0 ბოვო (23)
ტორინო: აბიატი, კომოტო, ბრევი, ბოვო, ბალესტრი, ვალო, არდიტო, ლაზეტიჩი (კოფი 81), მუცი (დე აშენტისი 59), როზინა (ოგურო 87), აბრუსკატო
მწვრთნელი: ჯანი დე ბიაზი
კალიარი: ფორტინი, ფერი, დ. ლოპესი, ბიანკო, აგოსტინი (დელ გროსო 72), ბონდინი (მარკინი 61), კონტი, ლ. კოლუჩი, ა. დაგოსტინო (პეპე 46), კაპონე, სუაზო
მწვრთნელი: მარკო ჯამპაოლო
გაფრთხილება: არდიტო, გალო, კაპონე, ბიანკო, კოფი, არდიტო
გაძევება: არდიტო (90)
მსაჯი: ფარინა
20 000 მაყურებელი


დუბლიანი გლადიატორი ფრანჩესკო ტოტი
AFP

# ცრემლიანი სიხარული
## პენალტური: ის იყო, ეს არ იყო, სანახავი ბევრი იყო

შეიძლება ითქვას, „პალერმო“ — „მილანის“ მატჩმა მოლოდინი ვერ გაამართლა. სულ 2-3 საგოლე მომენტი შეიქმნა და მთლიანობაში ფრე ლოგიკური შედეგი იყო, მიუხედავად იმისა, რომ „როსონერი“ გამარჯვებასთან უფრო ახლოს გახლდათ — მე-9 წუთზე კაკას პენალტი ალბერტო ფონტანამ აულო. თუმცა ეს პენალტი ძალიან საეჭვო იყო...

მეორე რეალური მომენტი კი სტუმრებს მატჩის მიწურულს შეექმნათ — უმაქნისი ალბერტო ჯილარდინოს ნაცვლად მინდორზე შესულ რონალდოს დარტყმაში ხელი ჯუზეპე ბიავამ შეუშალა, მაგრამ ბურთი „კიჭას“ მკერდზე მოხვდა და რიკოშეტით ხარიხა შეაზანზარა.

მეოთხე ადგილი შეინარჩუნა „ლაციომ“. რომაელებმა გვარიანად კი ანერვიულეს ქომაგები, მაგრამ ბოლოს მაინც შეძლეს „კატანიას“ გატეხვა.

სიცილიელებს წლეულს ჯერ არ მოუგიათ და ნავსის გატეხვა „სტადიო ოლიმპიკოზე“ გადაწყვიტეს. ჯუზეპე კოლუჩიმ სერია A-ში თავისი მე-200 მატჩი მე-17 წუთზე გატანილი გოლით აღნიშნა. არადა, „ბიანკოჩელესტის“ აქამდე ზედიზედ ხუთ მატჩში კარი მშრალად ჰქონდა შენახული.

ცოტა ხანში ჯუზეპე მასკარას უკეთ რომ ეთამაშა, ანგარიში 0:2 გახდებოდა.

მძიმედ მოთამაშე „ლაციომ“ გვიან გამოიღვიძა, მაგრამ გამარჯვებისთვის ეს საკმარისი გამოდგა. მე-60 წუთზე ანგარიში გორან პანდევმა გაათანაბრა. 88-ე წუთზე კი იგლი ტარეს პასით სებასტიან სივილიამ იხეირა.

ბოლოს თავისი გოლი ტომაზო როკიმაც შეაგდო და მიუხედავად კარგი თამაშისა, „კატანიამ“ მორიგი მარცხი იწვნია.

ისე, ამ მატჩში გაწევ-გამოწევაც მრავლად იყო.

„მილანს“ გადაასწრო და მეხუთე ადგილზე აინაცვლა „ემპოლიმ“, რომელმაც შინ იოლად მოუგო „მესინას“. ტოსკანელთა მთავარმა ფორვარდმა ლუკა საუდატიმ დუბლი გააზერხა, ხოლო სიცილიელები 55-ე წუთის მერე ათი კაცით თამაშობდნენ და წაგებასაც მალევე შეეგუვნენ, თუმცა დიდი შანსები არც მანამდე ჰქონდათ.

ძნელი სათქმელია, ორი ქულა დაკარგა, თუ ქულა მოიპოვა ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის მებრძოლმა „ფიორენტინამ“ გადარჩენისთვის მებრძოლ „რეჯინასთან“ საგარეო შეხვედრაში.

57-ე წუთზე პასკუალე ფოჯას დარტყმული ხარიხას მოხვდა, მაგრამ დამატებაზე მან მაინც გაიტანა და რეჯოკალაბრიელები წინ გავიდნენ.

მატჩის დასრულებამდე სამი წუთით ადრე კი ადრიან მუტუმ ჯარიმა დაარტყა, ბურთი ხელით გააჩერა სალვატორე არონიკამ და მსაჯმაც პენალტი დანიშნა, რომელიც რუმინელმა თავად შეასრულა და 1:1.

სხვათა შორის, „ფიორენტინას“ „სტადიო გრანილოზე“ არასოდეს წაუგია და ეს ტრადიცია ისევ გაგრძელდა.

ოთხი გოლი გავიდა „სტადიო ბენტეგოდიზე“. „კიევო“ მოულოდნელად 2:0-ს უგებდა „რომას“, მაგრამ „გლადიატორები“ კაპიტანმა ფრანჩესკო ტოტიმ იხსნა, ვინაც დუბლი შეასრულა და ბომბარდირთა დავაში საგრძნობლად დაწინაურდა.

საგოლე მომენტები ორივე კართან კიდევ მრავლად იყო. ცოტა უფრო აქტიურად მასპინძლები გამოიყურებოდნენ, მაგრამ ფრე მაინც სამართლიანი შედეგია.

ნიკოლა ვენტოლას გოლით „ატალანტა“ თავიდანვე დაწინაურდა „სამპდორიასთან“ შეხვედრაში, თუმცა რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელის გარეშე მოთამაშე გენუელებმა მატჩის შემობრუნება შეძლეს. 70-ე წუთზე ფაბიო ბაცანიმ, ვისაც მძიმე ტრავმის გამო საკმაო ხანი გაუცდა, 13-თვიანი პაუზის შემდეგ პირველი გოლი შეაგდო და სიხარულისგან ატირდა.

83-ე წუთზე მსაჯმა ტალამონტეს ხელით თამაში დასწამა, ხოლო სერჯო ვოლპიმ პენალტი მშვენიერად შეასრულა — 2:1. გამეორებებზე კი ნათლად გამოჩნდა, რომ ტალამონტის ბურთი ხელზე არც შეხებია...

ჯანი დე ბიაზიმ „ტორინოს“ მთავარი მწვრთნელის პოსტზე დაბრუნება „კალიარისთან“ ექვსქულიან მატჩში საჭირო სამი ქულით აღნიშნა. სარდინიელთა თავკაცად მარკო ჯამპაოლოს დაბრუნება კი, შესაბამისად, უიღბლო გამოდგა. ტურინელებმა ჩეზარე ბოვოს თავურით იმარჯვეს, თუმცა ისინი ამას კრისტიან აბიატისაც უნდა უმადლოდნენ, რომელმაც „ტორო“ რამდენჯერმე იხსნა აშკარა გოლისგან.

უგოლოდ დასრულდა ტოსკანური დერბი „სიენასა“ და „ლივორნოს“ შორის. მასპინძლები დომინირებდნენ და ორჯერაც გაარტყეს ბურთი ხარიხას, თუმცა...

ასეთივე ანგარიშით მორჩა აუტსაიდერების, „ასკოლისა“ და „პარმას“ მატჩი. სტუმრები უკეთ გამოიყურებოდნენ და 57-ე წუთიდან რიცხობრივი უპირატესობაც ჰქონდათ, მაგრამ...

ტურის ბოლო მატჩში კი „ინტერმა“ „სან სიროზე“ „უდინეზე“ ისტუმრა და... მილანელთა რეკორდული სვლაც შეწყდა. სტუმრებმა „ნეროაძური“ ფრეს დააკმაყოფილეს, თანაც უგებდნენ კიდეც.

**გიორგი ძაძაბაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინტერი | 25 | 21 | 4 | 0 | 55:20 | 67 |
| რომა | 25 | 16 | 5 | 4 | 51:20 | 53 |
| პალერმო | 26 | 13 | 6 | 7 | 41:30 | 45 |
| ლაციო | 25 | 12 | 7 | 6 | 40:19 | 40 |
| ემპოლი | 25 | 10 | 8 | 7 | 24:22 | 38 |
| მილანი | 25 | 12 | 9 | 4 | 33:21 | 37 |
| სამპდორია | 25 | 9 | 6 | 10 | 33:32 | 33 |
| ფიორენტინა | 25 | 14 | 5 | 6 | 39:22 | 32 |
| უდინეზე | 25 | 8 | 8 | 9 | 29:33 | 32 |
| ატალანტა | 25 | 7 | 10 | 8 | 39:36 | 31 |
| კატანია | 26 | 8 | 7 | 11 | 34:48 | 31 |
| ლივორნო | 25 | 6 | 10 | 9 | 24:35 | 28 |
| სიენა | 25 | 5 | 12 | 8 | 23:29 | 26 |
| ტორინო | 25 | 6 | 7 | 12 | 19:34 | 25 |
| კიევო | 25 | 5 | 8 | 12 | 27:35 | 23 |
| კალიარი | 25 | 4 | 11 | 10 | 18:29 | 23 |
| რეჯინა | 25 | 8 | 8 | 9 | 30:34 | 21 |
| მესინა | 25 | 4 | 8 | 13 | 25:42 | 20 |
| პარმა | 25 | 3 | 8 | 14 | 20:43 | 17 |
| ასკოლი | 25 | 2 | 9 | 14 | 18:38 | 15 |

*სიენას დაკლებული აქვს 1 ქულა, ლაციოს 3 ქულა, მილანს 8 ქულა, რეჯინას 11 ქულა, ფიორენტინას 15 ქულა*

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ტოტი (რომა) | 16 |
| ტონი (ფიორენტინა) | 13 |
| ბიანკი (რეჯინა) | 12 |
| მუტუ (ფიორენტინა) | 12 |
| სპინეზი (კატანია) | 12 |
| იბრაჰიმოვიჩი (ინტერი) | 11 |
| როკი (ლაციო) | 11 |

### XXVII ტური
3 მარტი
მილანი : კიევო
ლივორნო : ინტერი
ასკოლი : რომა

4 მარტი
კალიარი : ატალანტა
უდინეზე : ემპოლი
მესინა : პალერმო
პარმა : რეჯინა
ლაციო : სამპდორია
კატანია : სიენა
ფიორენტინა : ტორინო




# დევიდ ბექემი შინ ბრუნდება

რა მოხდება მანჩესტერში 12 მარტს? „ოლდ ტრაფორდზე" საჩვენებელი, ეგრეთ წოდებული გალა-მატჩი გაიმართება, სადაც ერთმანეთს „მანჩესტერ იუნაიტედი" და ევროპის ნაკრები, სხვანაირად კი, მარჩელო ლიპის ევრო-XI დაუპირისპირდებიან.

დაგეგმილ საფეხბურთო-სალაღობო აქციას პოლიტიკური წარმოშობაც აქვს, ის რომის ხელშეკრულების 50 წლისთავს ეძღვნება.

ამავე თარიღს ემთხვევა მანჩესტერელთა ჩემპიონთა თასზე თამაშის 50 წლისთავიც.

შეგახსენებთ: რომის ხელშეკრულება ბელგიას, საფრანგეთს, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას, იტალიას, ლუქსემბურგსა და ჰოლანდიას შორის 1957 წელს გაფორმდა, რითაც ეკონომიკისა და ატომური ენერგიის ევროპულ თანამეგობრობას ჩაეყარა საფუძველი.

საკუთრივ მატჩის შესახებ ინფორმაციის გარდა ჩვენთვის საინტერესო კიდევ ის არის, რომ მარჩელო ლიპის ნაკრებში მიპატიჟებული გახლავთ მადრიდის „რეალის" ინგლისელი ვარსკვლავი დევიდ ბექემი, რომელმაც კარიერის ყველაზე კაშკაშა პერიოდი, მოგეხსენებათ, სწორედ „მანჩესტერში" გაატარა.

მანჩესტერიდან მადრიდში ბექემი 2003 წელს მწვრთნელ სერ ალექს ფერგიუსონთან კონფლიქტის გამო გადაბარგდა, თუმცა ახლა ფერგიუსონი აცხადებს, რომ მას და მის ყოფილ შეგირდს შორის შავი კატა აღარ დარბის.

„მისი მადრიდში გადასვლის შემდეგ მე და ბექემი ერთი-ორჯერ შევხვედრივართ ერთმანეთს და მინდა გითხრათ, რომ ჩვენ შორის ყველაფერი მშვენივრადაა. ახლა ის შინ ბრუნდება, მართალია, მხოლოდ ერთი დღით, მაგრამ გალა-წარმოდგენას ფრიად დაამშვენებს".

**პაპუნა ძიძია**

## პატარა ძმას თოფი დაუმიზნეს

ლონდონის „არსენალის" სკაუტები სამუელ ეტოოს უმცროს ძმას, ეტიენ ეტოოს აკვირდებიან. „მეთოფეთა" მზვერავები „მერიდიანის" თასის მატჩს დაესწრნენ, სადაც 18 წლის ეტოომ აფრიკის ნაკრებში ითამაშა. ამჟამად ფეხბურთელი ესპანურ „მალიორკას" ეკუთვნის და მესამე დივიზიონის „ლა სალეშია" განათხოვრებული.

## ალმუნიას სიყვითლე ემუქრება

„ვილიარეალი" ზაფხულში „არსენალიდან" მანუელ ალმუნიას ყიდვას შეეცდება. ამის შესახებ კლუბის სპორტულმა დირექტორმა განაცხადა. ალმუნია „მეთოფეებმა" 2004 წელს „სელტადან" იყიდეს, მაგრამ მეკარემ ძირითადში მხოლოდ 42-ჯერ ითამაშა. „ყვითლებს" უკვე ჰყავთ ორი ექსარსენალელი — რობერ პირესი და პასკალ სიგანი.

## ოუენი ბურთს უახლოვდება

მაიკლ ოუენი, სავარაუდოდ, 31 მარტს „მანჩესტერ სიტისთან" მატჩში დაუბრუნდება მოედანს. ინგლისის ნაკრებისა და „ნიუკასლის" ფორვარდმა ტრავმა შარშან, მსოფლიოს ჩემპიონატზე მიიღო და მას შემდეგ მკურნალობს. ოუენმა „უიგანთან" მარცხის მერე ფანები გაამხნევა: „თუ გაითვალისწინებთ იმას, რომ გუნდს ტრავმები შეეჩვია, სეზონი წარმატებულად უნდა ჩაითვალოს. გლენ როუდერმა ასეთ პირობებში საუცხოოდ იმუშავა და ვითარების გამოსწორება შეძლო."

ჩვენ კი დავძინოთ, რომ ფრიად საინტერესო იქნება „ნიუკასლის" უსწრაფესთა შემტევი წყვილი — მაიკლ ოუენი და ობაფემი მარტინსი.

**გაგა ხუციშვილი**

# ...როგორ დათვრა სერი სიგარიან პოლ ნიუმენთან

65 წლის ალექს ფერგიუსონმა 21 წელი შესწირა „მანჩესტერ იუნაიტედს", მაგრამ პენსიაზე გასვლას არ ჩქარობს. ჯერ კიდევ 2002 წელს აპირებდა წასვლას და გადაიფიქრა. მიზეზი რომ ჰკითხეს, იხუმრა, მთელი დღეები ცოლის ყურებაში უნდა გავატარო და უსაქმოდ რა გაძლებსო. შარშან თქვა, ამ სეზონს ჩავამთავრებ და ავიბარგებიო, თუმც ისევ შეცვალა გადაწყვეტილება და განაცხადა, რომ 2009-ში დაანებებს თავს მწვრთნელობას.

12 მარტს „ოლდ ტრაფორდზე" საქველმოქმედო შეხვედრა გაიმართება: „მანჩესტერ იუნაიტედი" ევროპის ნაკრებს უმასპინძლებს.

ნაკრებს მარჩელო ლიპი უთავკაცებს, მასპინძლებს კი, ცხადია, ალექს ფერგიუსონი. სწორედ ამასთან დაკავშირებით ესტუმრა შოტლანდიელს იტალიური „გაძეტა დელო სპორტის" ჟურნალისტი ჯანკარლო ჯალავოტი და ინტერვიუ ჩამოართვა...



— ლამაზი სპექტაკლი გამოვა?

— რა თქმა უნდა! გადასარევი იქნება, რადგან ასეთი მატჩების ხიბლი ხომ ისაა, რომ ფეხბურთელები სრულად თავისუფალნი არიან და მხოლოდ მაყურებლის გასართობად თამაშობენ.

— თქვენს მეგობარ მარჩელო ლიპისაც ნახავთ...

— დიახ, პოლ ნიუმენს სიგარით. შობის დღესასწაულზე გვეწვია და გვარიანად მოვილხინეთ. მაშინ მითხრა, რომ საკლუბო დონეზე მწვრთნელობა ისევ სურს.

— ინგლისურ კლუბში?

— რატომაც არა?! არასოდეს თქვა არასოდეს! ოღონდ არ ვიცი, რომელ კლუბს გულისხმობდა.

— იქნებ „მანჩესტერში" ადგილი გათავისუფლდეს...

— უახლოეს ორ წელიწადში ეს არ მოხდება. 2002 წელსაც მინდოდა წასვლა, მაგრამ გადავიფიქრე. პენსია მოიცდის...

— ლიპიმ ინგლისური იცის?

— ისევე, როგორც მე იტალიური — ცოტ-ცოტას ახერხებს. სამაგიეროდ, ორივემ კარგად ვიცით ფრანგული. კვირაში ერთხელ ფრანგულის გაკვეთილი მაქვს, ზაფხულში კი საფრანგეთში ვისვენებ. ამ ასაკში სწავლა სასიამოვნო ყოფილა.

— „იუვენტუსში" დაბრუნებაზე არაფერი უთქვამს?

— „იუვეს" ახალგაზრდა მწვრთნელი ჰყავს, რომელიც საქმეს საუცხოოდ აკეთებს. სერია B-ში ჩაქვეითების მიუხედავად, დიდიე დეშანმა გუნდს მებრძოლი სული შეუნარჩუნა და ხელახლა შეძლო ისეთი ფეხბურთელების მოტივირება, როგორებიც დელ პიერო, ბუფონი და ნედვედი არიან. მარჩელომ სხვა გუნდი უნდა მონახოს. თუკი რომელიმე ამბიციური კლუბის პრეზიდენტი მწვრთნელს ეძებს, ნუსხაში პირველი ლიპი უნდა ჩაწეროს.

— 2003 წლის ჩემპიონთა ლიგის ფინალში „მილანი" „იუვენტუსს" შეხვდა. თქვენ „იუვეს" გამარჯვებაზე ჩახვედით ფსონს და წააგეთ...

— სამაგიეროდ, მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში ავინაზღაურე წაგებული. თამაშისას, როცა ლიპიმ ტოტი დე როსით შეცვალა, მაშინვე მივხვდი, რომ საქმე პენალტებამდე მივიდოდა და სერიაში იტალია მოიგებდა. მაშინ ერთ გირვანქაში 12 მოვიგე.

— 12 მარტს ლიპი ევროპის ნაკრებს ჩამოიყვანს და დევიდ ბექემიც ეყოლება გუნდში...

— დევიდი ერთი დღით ბრუნდება „ოლდ ტრეფორდზე" და ეს უკვე საკმარისი მიზეზია საზეიმოდ. მას ისე დახვდებიან ფანები, როგორც ეკადრება კაცს, ვინც ბევრი რამ გააკეთა „მანჩესტერისთვის". „რეალში" მისი რამდენიმე თამაში თუ ვნახე, ისე კი, კარგი ურთიერთობა გვაქვს.

— „ჩელსის" ორწლიანი ჰეგემონიის შემდეგ „მანჩესტერი" ისევ ლიდერია...

— სეზონი კარგად დავიწყეთ და წარმატების საფუძველიც ესაა. აკრეფილი ტემპი დღემდე შევინარჩუნეთ, რასაც ადრე ვერ ვახერხებდით. „ჩელსი" კი მოგვდევს, მაგრამ ჩვენი დაწევა იოლი არ იქნება.

— რა შეიცვალა გუნდში?

— უპირველესად, მოსამზადებელი ეტაპის სტრატეგია შევცვალეთ. ადრე აქცენტი სეზონის მეორე ნახევარზე გვქონდა გადატანილი. შობის შემდეგ ავიწყვიტავდით და ვეღარავინ გვეჯიბრებოდა, შარშან კი სხვანაირად მოვემზადეთ და თავიდანვე დავწინაურდით.

— და კრიშტიანუ რონალდუ...

— ეს ბიჭი ისე თამაშობს, რომ ნებისმიერ კრიტიკოსს მოაკეტინებს. ინგლისელებს უყვართ ახეთი ფეხბურთელები და ტაშის დაკვრაც არ ეზარებათ. რონალდუს აქვს საიმისო ნიჭი, რომ უდიდესი გახდეს.

— მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ გუნდში დაბრუნება რომ არ უნდოდა? უეინ რუნის გაძევება ხომ მას დააბრალეს...

— დაახლოებით მსგავსი რამ მოხდა 1998 წელს, როცა ინგლის — არგენტინის მატჩში ბექემი გააძევეს და მარცხი მას მიაწერეს. კრიშტიანუს ავუხსენი, რომ მედიის ლაქლაქს ყურადღება არ უნდა მიაქციოს. რაც უფრო მეტს აკრიტიკებენ, მით უკეთ თამაშობს. ამის დასამტკიცებლად „ფულემთან" ბოლო წუთზე გატანილი გოლიც კმარა, რომელმაც სამი ქულა მოგვიტანა და „ჩელსის" 9 ქულით გავუსწარით.

— პრემიერლიგა თუ ჩემპიონთა ლიგა?

— ერთიც და მეორეც, მაგრამ „მანჩესტერ იუნაიტედის" დონის კლუბი ვალდებულია, რაც შეიძლება, მეტი ევროჯილდო ჰქონდეს. ორი თასი ძალიან ცოტაა. შეხედეთ „რეალს", „მილანს", „ლივერპულს" და „ბაიერნს". ჩვენ გვყავს რუნი, რონალდუ, გიგზი, სქოულზი, კარიკი — ასეთი გუნდით ჩემპიონთა თასის მოგება სავსებით რეალურია.

— მეტოქეებზე რას იტყვით?

— „ლიონს" და „რომას" ვერ ჩამოვწერ — ორივე საკმაოდ სახიფათო მეტოქეა. „ბარსელონა" კი, ვნახოთ, რას იზამს „ენფილდზე". ფავორიტები არიან „ინტერი" და „მილანიც", თუმცა მათთან ერთად, ჩვენც.

# ორი ერთნაირი, მაგრამ სხვადასხვა



„მანჩესტერ იუნაიტედმა" ბრაზილიელი ტყუპები, ფაბიო და რაფაელ სილვები წინასწარი კონტრაქტით დაიბევა. ისინი ამჟამად „ფლუმინენსეს" ეკუთვნიან და ინგლისში 9 ივლისს ჩავლენ, როცა 18 წელი შეუსრულდებათ. სილვები მცველები არიან, ერთი მარცხენა, მეორე — მარჯვენა. ფაბიომ და რაფაელმა ცოტა ხანი უკვე გაატარეს კლუბის ბაზაზე და რამდენიმე ამხანაგურ მატჩშიც ითამაშეს.

„ამავე მოედანზე ვიყავით, რომელზეც უეინ რუნი და კრიშტიანუ რონალდუ იყვნენ. ეს დიდი პატივია ჩვენთვის" — ხარობდა ფაბიო.

# ჩელსის ობი მოაშორეს



**ჩელსელმა** ჯონ ობი მიკელმა განაცხადა, ჩემი რა ბრალია, მე მხოლოდ თავს ვიცავდიო...

ალბათ, მიხვდით, „კარლინგის თასის“ ფინალში არსენალელ კოლო ტურესთან მოედანზე გამართულ მუშტი-კრივზე მოგახსენებთ. ამ მუშტი-კრივის გამო ობი გააძევეს. მეორე დღეს მოთამაშემ ფეხბურთის ასოციაციაში წერილი მიიტანა, იმედი ჰქონდა, რომ თავს მსხვერპლად წარმოაჩენდა და მკაცრ სასჯელს აირიდებდა, მაგრამ ასოციაციამ ქაღალდი უკან გადმოუგდო — საქმის შესწავლისას გამოჩნდა, რომ ობი თავად გახლდათ ერთ-ერთი მოთავე ჩხუბისა, რომელშიც საბოლოოდ 18 კაცი ჩაერთო.

მოკლედ, ნიგერიელს ოთხი მატჩის გამოტოვება მოუწევს.

„ჩემი მოედნიდან გაძევება თავიდანვე მეტისმეტად მკაცრი გადაწყვეტილება იყო — თქვა მიკელმა — დამაჯარიმეს და წითელი ბარათიც მომცეს. ტურეს საჩხუბრად საერთოდ არ შევხებივარ, ხელები დაშვებული მქონდა, ეს მან შემომიტია. კაცმა რომ თქვას, დიდი არც არაფერი მომხდარა, მაგრამ თავი მაინც უნდა დამეცვა. ბოდიშს ვუხდი თანაგუნდელებსა და ქომაგებს ჩემი წითელი ბარათის გამო. ასეთი საძაგლობის ცქერა ძალიან უსიამოვნოა, მაგრამ ყველაფერი „არსენალის“ ფეხბურთელებმა გამოიწვიეს“.

კოლო ტურემ კი ჩხუბი „ჩელსის“ ფეხბურთელებს გადააბრალა. მან თქვა, რომ ყველაფრის მიზეზი მათ მიერ დროის ცინიკურად გაყვანა გახლდათ.

მიკელი: „დიახ, მე ტურეს დავქაჩე, მაგრამ მან ამაზე არანორმალური ქცევით მიპასუხა. მერედა, მსაჯმა ყველაფერი დაინახა და ჯარიმა დანიშნა. მოკლედ, ჩვეულებრივი, პატარა საფეხბურთო ეპიზოდი, რომელსაც არბიტრი სრულად აკონტროლებდა, ტურეს გამო მასობრივ არეულობად იქცა. სირცხვილი „არსენალის“ მოთამაშეებს ასეთი ამბის ატეხვისთვის! მე თუ მკითხავთ, საკუთრივ ეპიზოდის გამო არც მე ვიმსახურებდი წითელს და არც ტურე“.

**პაპუნა ძიდია**

# შევარდი და არ იჩხუბო





## რატომ აღარ ჰგავდა ბარსელონა თავს?

„**ბლექბერნის**“ მწვრთნელი მარკ ჰიუზი ბრძანებს, რომ კვირას, „კარლინგის თასის“ ფინალში, „ჩელსისა“ და „არსენალის“ ფეხბურთელებს შორის ამტყდარი მასობრივი ჩხუბის დროს ლონდონური გუნდების მწვრთნელები, ჟოზე მაურინიუ და არსენ ვენგერი სწორად მოიქცნენ. ისინი მოედანზე შევარდნენ და ფეხბურთელების დაშოშმინებას შეუდგნენ, თუმცა ჰიუზისვე მტკიცებით, ინგლისურ პრემიერლიგაში ორმაგი სტანდარტია. ის, რაც ნებადართულია ოთხი უძლიერესისთვის, დანარჩენთათვის აკრძალულია. ერთი სიტყვით, უელსელი მწვრთნელი დარწმუნებულია, რომ ვენგერის ან მაურინიუს ადგილზე თავად რომ ყოფილიყო, ფეხბურთის ასოციაცია მოედანზე შეჭრისთვის დასჯიდა.

„როდესაც ერთმანეთის პირისპირ გამარჯვებაზე დაგეშილი ორი გუნდი დგას, თამაშის მსვლელობისას დაძაბულობამ, შესაძლოა, მართლაც იმატოს. რა მოხდება ამის შემდეგ, ვინ როგორ გაართმევს თავს სიტუაციას, ეს უკვე პიროვნებებზეა დამოკიდებული. თუ ხედავ, რომ ემოცია საზღვრებს სცილდება და შენმა ერთ-ერთმა ფეხბურთელმა შეიძლება, ჩაიდინოს ის, რაც შემდეგ სანანებელი გაუხდება, სჯობს, საქმეში ჩაერიო. საქმეში ჩარევა კი, შესაძლოა, მოედანზე შესვლით და ხიფათის ძირშივე აღმოფხვრით ჯობდეს, თუმცა ამ დროს, ბუნებრივია, სრულიად უნდა ფლობდე საკუთარ ნერვებს. „არსენალის“ და „ჩელსის“ თამაშისას ჩვენ ორივე გუნდის მწვრთნელი მოედანზე ვიხილეთ და ვფიქრობ, მათ ცეცხლზე ნავთი არ დაუსხამთ. ისინი მშვიდად იქცეოდნენ. სხვა იქნებოდა, მაურინიუსა და ვენგერს მოედანზე წინ და უკან სირბილი და ფეხბურთელებისთვის ხელის კვრა რომ დაეწყოთ, მაგრამ ფაქტია, ისინი ღირსეულად მოიქცნენ, ცდილობდნენ, თავიანთი ფეხბურთელები დაეცვათ...

...თუმცა, ვამბობ ამას და, იმავდროულად ვფიქრობ, რომ რომელიმე მათგანის ადგილას მე რომ ვყოფილიყავი, დამსჯიდნენ. ყველაფერი კი იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ ფლობ საკუთარ ემოციებს. ხანდახან, შესაძლოა, ის მწვრთნელებიც კი აფეთქდნენ, რომელთაც ემოციების შეკავება სხვებზე უკეთ ეხერხებათ. იგივე არსენ ვენგერი წლეულს ორი ინციდენტის დროს ვნახეთ. ერთი ახლა კვირას იყო და ვენგერი კარგად მოიქცა, მეორე ეპიზოდში კი მან ალან პერდიუსთან იჩხუბა. საერთოდ, ვენგერი მოგებებს მიჩვეული კაცია და როდესაც საქმე ისე არ მიდის, როგორც მას სურს, შესაძლოა, კეთილი და მშვიდი ადამიანის სახის შენარჩუნება გაუჭირდეს. თითოეულ ჩვენგანს აქვს ასეთი მომენტები, როდესაც საკუთარ თავს ვერაფერს უხერხებ და ამ დროს მართლაც უძლური ხდები“.

ფეხბურთში მართლაც ბევრი რამ ხდება და ადამიანიც იმიტომ გქვია, რომ ყველაფერს ღირსეულად უნდა შეხვდე. მაგალითად, იმავე მარკ ჰიუზს, რომლის „ბლექბერნმაც“ გუშინ „არსენალთან“ საპასუხო სათასო მატჩი ითამაშა, პირველი მატჩის შემდეგ მეტოქის ფეხბურთელთან სესკ ფაბრეგასთან მწარე სიტყვაობა ჰქონდა. ფაბრეგასმა თურმე ასე უთხრა: „თქვენ ახალგაზრდობაში „ბარსელონაში“ თამაშობდით, არა? აი, როდის ჰქონდა „ბარსელონას“ სახე დაკარგული“.

„ეს ამბავი აღარ მახსოვს. ფაბრეგასი ჩემთან მალევე მოვიდა და ძალიან გულწრფელი ბოდიში მომიხადა. მან მითხრა, რომ ყოველ შეხვედრაში ისე უნდა მოგება, რომ, როდესაც ამას ვერ ახერხებს, ემოციური ხდება. მეც ეჭვი აღარ შევიტანე ამ ნათქვამში“ — განმარტა ჰიუზმა.

**პაპუნა ძიდია**

# არკადიევიჩის წიხლი





„სან ლორენსოში“ გამომთვრალ ჟოზე მაურინიუს რომან აბრამოვიჩმა მოსკოვიდან უყურა

**როგორ** იზეიმა „ჩელსიმ“ „კარლინგის“ თასის მოპოვება? ორშაბათს ნაითსბრიჯზე მდიდრული რესტორანი „სან ლორენსო“ დაიქირავა და ფართო მასშტაბით მოულხინა, მაგრამ... კლუბის პრეზიდენტი, რუსი მილიარდერი რომან აბრამოვიჩი ამ ლხინს სათოფეზე არ მიჰკარებია.

ინგლისელ ჟურნალისტებს არც ის ამბავი გამოპარვიათ, რომ მეორე დღეს რესტორანში კი არა, უშუალოდ მატჩის შემდეგაც არ მისულა ჩუკოტკის გუბერნატორი თავის ბიჭებთან. მას კარდიფის „მილენიუმ სტედიუმზე“ გამარჯვება არავისთვის მიულოცავს და, ბუნებრივია, არც გვიან ღამით, ლონდონის ერთ-ერთ ღამის კლუბში დასწრებია ჭიქების ექსპრომტ ჭახუნს.

„სან ლორენსოში“ კი სუფრა 90 კაცზე იყო გაშლილი. დაპატიჟებულნი იყვნენ ყველანი, საკლუბო სასადილოში ჭურჭლის მრეცხავის ჩათვლით — ფეხბურთელების ცოლებზე ხომ აღარაფერს ვამბობთ. მაგრამ აბრამოვიჩი, როგორც გითხარით, ამ საქმეში არ ჩარეულა. შემდეგ გაირკვა, რომ ამ დროისთვის რომან არკადიევიჩი უკვე მოსკოვში ბრძანდებოდა.

პრეზიდენტის ასეთი ქცევა ინგლისში, არც მეტი, არც ნაკლები, პროტესტად და ჟოზე მაურინიუს წარმატების განზრახ გაუფასურებად ჩათვალეს.

საინტერესოა, რომ წვეულებას არ გამოჰკლებია მატჩის დროს გონებადაკარგული და ბედად გადარჩენილი კაპიტანი ჯონ ტერი.

**პაპუნა ძიდია**

## ეტოო ბენიტესსაც გაახსენდა

**სამუელ ეტოოს** ამბავში, შესაძლოა, „ლივერპულიც“ ჩაერთოს. რაფაელ ბენიტესს ძალიან უნდა კამერუნელის გადაბირება, რომელსაც მსურველთა რიგი უდგას.

ესპანელი ჯერ კიდევ მაშინ აპირებდა ეტოოს ყიდვას, როცა ის „მალიორკაში“ იყო, მაგრამ მაშინ „ბარსას“ ფინანსებით ვერ გაეჯიბრა, ახლა კი, ფულიანი ამერიკელი პატრონის მოსვლის შემდეგ, „ლივერპულს“ გირვანქები გაუჩნდა და ეგებ გაქაჩოს კიდეც ეტოოს ფასი, რომლის სანაცვლოდაც, თავის მხრივ, რომან აბრამოვიჩის „ჩელსი“ 50 მილიონი გირვანქის გადამხდელია.

## ჩელსიმ სიტყვები შეათანხმა

„**ჩელსი**“ სადაცაა, მანუელ და კოშტას შეიძენს, რომელიც ახლა ჰოლანდიურ პსვ-შია. საფრანგეთში დაბადებული პორტუგალიელი 20 წლისაა და დაცვაში ნებისმიერ პოზიციაზე თამაში შეუძლია. იგი შარშან „ნანსიდან“ იყიდეს ეინდჰოვენელებმა და ამ სეზონში საუცხოოდ ირჯება.

პორტუგალიური მედიის ცნობით, სიტყვიერი შეთანხმება უკვე მიღწეულია და კონტრაქტზე ხელის მოწერაღა დარჩა.

**გაჟა ხუციშვილი**

### ინგლისის ასოციაციის თასი

მეოთხედფინალი. გადათამაშება

**ვესტ ბრომვიჩი 1:1დ.დ. (პენ.4:5, 1:1) *მიდლსბრო***

1:0 კარტერი (26), 1:1 ვიდუკა (63)

**რედინგი 2:3 *მანჩესტერი***

0:1 პაინცე (2), 0:2 საა (4), 0:3 სოლსკიაერი (6), 1:3 კიტსონი (23), 2:3 ლიტა (84)

### ინგლისი

ჩემპიონატი

გადადებული მატჩები

ბირმინგემი 1:0 ლიდსი

ლუთონი 2:3 ნორვიჩი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბირმინგემი | 34 | 19 | 7 | 8 | 52:33 | 64 |
| ვესტ ბრომვიჩი | 35 | 18 | 9 | 8 | 62:39 | 63 |
| დერბი | 34 | 19 | 6 | 9 | 43:34 | 63 |
| სანდერლენდი | 35 | 18 | 6 | 11 | 52:36 | 60 |
| საუთჰემპტონი | 35 | 16 | 11 | 8 | 56:39 | 59 |
| კარდიფი | 35 | 16 | 11 | 8 | 50:36 | 59 |
| პრესტონი | 34 | 17 | 8 | 9 | 50:38 | 59 |
| ვულვზი | 35 | 17 | 8 | 10 | 38:35 | 59 |
| სტოკი | 35 | 14 | 11 | 10 | 42:28 | 53 |
| კოლჩესტერი | 35 | 15 | 7 | 13 | 54:40 | 52 |
| კრ. პალასი | 35 | 13 | 9 | 13 | 42:39 | 46 |
| პლიმუთი | 34 | 11 | 14 | 9 | 46:44 | 47 |
| ლესტერი | 34 | 11 | 11 | 12 | 37:39 | 44 |
| უენსდი | 34 | 12 | 8 | 14 | 48:53 | 44 |
| ქოვენთრი | 35 | 12 | 6 | 17 | 35:47 | 42 |
| ნორვიჩი | 33 | 11 | 8 | 14 | 42:52 | 41 |
| ბარნლი | 34 | 10 | 10 | 14 | 35:37 | 40 |
| იფსვიჩი | 34 | 11 | 6 | 17 | 40:46 | 39 |
| ბარნსლი | 35 | 11 | 5 | 19 | 39:58 | 38 |
| ლუთონი | 35 | 9 | 9 | 17 | 44:59 | 36 |
| ჰალი | 34 | 9 | 8 | 17 | 35:48 | 35 |
| ქუინზ პარკი | 34 | 9 | 8 | 17 | 39:54 | 35 |
| საუთენდი | 35 | 7 | 10 | 18 | 34:56 | 31 |
| ლიდსი | 35 | 9 | 4 | 22 | 34:59 | 31 |


კლაუდია და შტეფანი

# ქერა ქათამში გაცვლილი ეფე

კლაუდია ეფენბერგი — ცნობილი გერმანელი ფეხბურთელის, შტეფან ეფენბერგის მეუღლე; ასევე ცნობილი გერმანელი ფეხბურთელის, თომას შტრუნცის ყოფილი მეუღლე.
რამ გაგვახსენა? ჩვენ არა, ამერიკელ და გერმანელ ჟურნალისტებს გაახსენდათ...


მერი და დერეკი

## ეფენბერგმა მეგობრის ქალს ხელი გაუშვა და მეზობლის ქალს შეახო

ეფენბერგების ოჯახი ახლა ფლორიდაში ცხოვრობს, თუმცა მშობლიურ გერმანიაშიც ხშირად ჩადის.

ამერიკელ ჟურნალისტთა ცნობით, კლაუდია კარგად გამოიყურება, მაგრამ...

აქ უკვე გერმანელი ჟურნალისტები ჩაერივნენ საქმეში და თავიანთი ამერიკელი კოლეგების დახმარებით საინტერესო ამბები გამოქექეს.

ეს ოთხი-ხუთი დღე ეფენბერგებმა ჰამბურგში გაატარეს. სასტუმროში გამოჩენილი ცნობილი წყვილი, რა თქმა უნდა, უმალ მოექცა ჟურნალისტთა ყურადღების ქვეშ.

„ბილდი“ წერს, რომ 41 წლის კლაუდია, რომელსაც ჯერაც შეუნარჩუნებია ახალგაზრდული იერი, სულაც არ გამოიყურება ბედნიერად. ეს არცაა გასაკვირი: მის მეუღლე შტეფანს საყვარელი ჰყავს — გერმანულ-ამერიკული პრეს-კავშირის გამოკვლევით, ეს ქალი ფლორიდელი მერი ტრინკაა, ეფენბერგების მეზობელი.

ასე ინგრევა 38 წლის შტეფან ეფენბერგის მეორე ქორწინება...

მერი ტრინკა 39 წლისაა და ამერიკის სპორტულ სამყაროში ქერა მამაკაცების შემბმელის სახელი აქვს.

1998 წელს ის დაქორწინდა ბეისბოლელ დერეკ ლოუზე, ვისაც მეტსახელად „ქერა ქათამს“ ეძახიან.

ბოსტონელი ლოუ ორჯერ აღიარეს „ოლ სტარის“ საუკეთესო მოთამაშედ.

ამ წყვილზე ამერიკული პრესა დაახლოებით იმდენს და ისე წერდა, როგორც, მაგალითად, ბრიტანული პრესა წერს დევიდ და ვიქტორია ბექემებზე.

ტრინკა სიამაყით თამაშობდა სუპერმოთამაშის იდეალური ცოლის როლს, მეუღლის თამაშებზე ყოველთვის წინა რიგებში იჯდა და წამდაუწუმ ჰაეროვან კოცნას უგზავნიდა...

წყვილს ორი ვაჟი შეეძინა: ტეილორი და ტენერი. მაგრამ ეს, ერთი შეხედვით, იდეალური ცხოვრებაც დაინგრა...

დერეკი ალკოჰოლს მიეძალა, 2005 წლის აგვისტოში კი სკანდალიც მოხდა: მერიმ კერძო დეტექტივი დაიქირავა, რადგან, გავრცელებული ხმებით, მის მეუღლეს რომანი ჰქონდა ჟურნალისტთან, ბეისბოლის ექსპერტ კაროლინ ჰიუგესთან.

ამით გაბრაზებული დერეკი ლოს ანჯელესის „დოდგერსში“ გადავიდა და პრესასაც უთხრა, რომ ტრინკასთან ყველაფერი დამთავრდა.

დაიწყო ნამდვილი ბრძოლა: ტრინკა შოუში გამოვიდა და ლოუ ოჯახის დანგრევაში დაადანაშაულა.

რევანში ღირსეული გამოდგა: კაროლინმა სამსახური დაკარგა, რადგანაც მისი, როგორც ბეისბოლელის შეყვარებულის ნეიტრალურობის აღარავის სჯეროდა და ტელევიზიამაც მასთან კონტრაქტი გაწყვიტა.

საბოლოოდ, მერი ტრინკა 2006 წლის დეკემბერში დაშორდა დერეკ ლოუს, რის შედეგადაც უზარმაზარი ვილა და 18 მილიონი დოლარი ერგო.

აი, ასეთ ქალს ეკურკურება ეფე — ტრინკას ხომ ახლა საკმარისი ფული და თავისუფლება აქვს ახალი ქერა მამაკაცის შესარჩევად.

და რას იზამს კლაუდია? თავის დროზე ხომ მისი და შტეფანის ურთიერთობაც დიდი სკანდალებით იყო დახუნძლული. გეხსომებათ, კლაუდია შტეფანის ერთ-ერთი საუკეთესო მეგობრის მეუღლე იყო და მათმა რომანმა მთელი გერმანია ალაშფოთა...

**ნინო სილაგაძე**

ბაიერნი — რეალი: კვირა მიუნხენამდე

# მიყვარს ისეთი ტიპები, როგორიც მარკ ვან ბომელია

**ერთი** კვირაც და, ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალის საპასუხო მატჩში მიუნხენის „ბაიერნი“ მადრიდის „რეალს“ უმასპინძლებს.

აბა, რა შეხსენება გინდათ, რომ პირველ მატჩში ესპანელებმა 3:2 მოიგეს.

მადრიდულ ჯახში ყველაზე საინტერესო და ხმაურიანი მარკ ვან ბომელის მეორე გოლი გამოდგა — „ბაიერნის“ ჰოლანდიელმა ნახევარმცველმა უხმსად აღმართული მუშტით გამოხატა თავისი სიხარული.

რა გასაკვირია, რომ პოპულარულმა „ბილდმა“ ამ ყველაფერზე კომენტარი ცნობილ „შუა თითას“, შტეფან ეფენბერგს სთხოვა, ვინც ეს რამდენიმე დღე სამშობლოში გაატარა...

„მარკ ვან ბომელში დიდი ემოცია და აგრესია დავინახე, რაც ასეთი თამაშების განუყრელი ნაწილია. მიყვარს ისეთი მოთამაშეები, რომლებიც გადამწყვეტ მატჩებში მსგავს რეაქციას აჩვენებენ. ასეთ დროს უმთავრესი გუნდის შეფუცხუნება და თანაგუნდელების გამოღვიძებაა, ხანდახან ძალის გამოყენება და წაჯიკავებაც კი აუცილებელია. ვან ბომელი ცდილობს ამის გაკეთებას და ეს სულაც არ არის ცუდი. არ მესმის, ესპანელები რატომ გაბრაზდნენ ასე. დიდი ემოცია და ცოტაოდენი უხამსობა ფეხბურთის კუთვნილებაა“ — განაცხადა ძველმა ბაიერნელმა, შტეფან ეფენბერგმა.

**ნინო სილაგაძე**



# სარამ წივილი ჩივილით შეცვალა

**მიუნხენის** „ბაიერნის“ მცველს, სკანდალში გახვეულ კრისტიან ლელს მეგობარმა გოგონამ, სარამ ოფიციალურად უჩივლა.

ღამის კლუბში გამომთვრალმა კრისტიანმა სარა სცემა და პოლიციამ დააკავა, თუმცა, როგორც ამბობდნენ, გოგონა ჩივილს არ აპირებდა.

სხვაგვარად კი მოხდა...

გუშინ, როცა ლელი „ბაიერნთან“ ერთად ვარჯიშობდა და ბერლინის „ჰერტასთან“ სათამაშოდ ემზადებოდა, პროკურატურამ საჩივარი მიიღო.

მიუნხენის პროკურატურის წარმომადგენელი, დოქტორი კრისტიან შმიდტ-ბომერფელდი: „ეს მართალია, მაგიდაზე საჩივარი გვიდევს. ლელის საქმეში ოთხი მიმართულებაა — მეგობარი გოგონას სხეულის დაზიანება, სიმთვრალე, პოლიციის შეურაცხყოფა და წინააღმდეგობის გაწევა“.

სარას ჩვენებით, კლუბიდან წამოსულმა ბაიერნელმა მანქანა იქვე, გზაზე გააჩერა, გადმოვიდა და მუცელში ჩაარტყა. პოლიციას კი, რომელიც თვითმხილველებმა გამოიძახეს, შეურაცხყოფა მიაყენა და გაუძალიანდა.

ლელის ადვოკატ ვერნერ ლაიტნერის აზრით კი, ეს ყველაფერი სიმართლეს არ შეეფერება: „ეს დიდი გაურკვევლობა იყო. ამაზე კრისტიან ლელს ერთი საათი ვესაუბრე. ჩემი შეფასებით, ამ ამბის ნახევარი მოგონილია. ფაქტებს შევისწავლი და საქმითაც დავკავდები“.

**ნინო სილაგაძე**



# ტყუპების მამა ასამოა

**გელზენკირხენის** „შალკეს“ და გერმანიის ნაკრების ფეხბურთელ ჯერალდ ასამოას მართვის მოწმობა ჩამოართვეს — გელზენკირხენში მოძრაობისას სისწრაფეს გადააჭარბა, რადგან სახლში მიიჩქაროდა, ფეხმძიმე ცოლი სამშობიაროში უნდა წაეყვანა.

ასამოა ვერცხლისფერი მერსედესით 190 კმ/სთ-ით მიჰქროდა იქ, სადაც ზღვარი 80 კმ/სთ იყო. პოლიციამ ფეხბურთელი გააჩერა და მოწმობა ჩამოართვა, ლინდა ასამოა კი სასწრაფო დახმარებით გააქანეს საავადმყოფოში და... ტყუპი ბიჭი და გოგო გააჩინა — იადენი და იალე.

ავტობანის პოლიციის განცხადებით, დიდი შანსია, ასეთი მიზეზის გამო ასამოა მართვის მოწმობის დიდი ხნით ჩამორთმევას გადაურჩეს.

**ვაჟა ხუციშვილი**

სარბიელი და კროკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ინგლისი. პრემიერლიგა | | | | | | |
| | | 3 მარტი | | | | | | |
| 16:45 | 1 | ლივერპული-მანჩესტერი | 2.65 | 3.00 | 2.65 | 1.40 | 1.32 | 1.40 |
| 19:00 | 2 | არსენალი-რედინგი | 1.45 | 3.80 | 7.00 | 1.04 | 1.20 | 2.46 |
| 19:00 | 3 | ფულემი-ასტონ ვილა | 2.20 | 3.20 | 3.10 | 1.30 | 1.28 | 1.57 |
| 19:00 | 4 | სიტი-უიგანი | 2.00 | 3.20 | 3.70 | 1.23 | 1.29 | 1.71 |
| 19:00 | 5 | ნიუკასლი-მიდლსბრო | 2.05 | 3.20 | 3.55 | 1.24 | 1.29 | 1.68 |
| 19:00 | 6 | შეფილდი-ევერტონი | 2.65 | 3.10 | 2.60 | 1.42 | 1.31 | 1.41 |
| 19:00 | 7 | უოტფორდი-ჩარლტონი | 2.55 | 3.10 | 2.70 | 1.39 | 1.31 | 1.44 |
| 21:15 | 8 | პორტსმუთი-ჩელსი | 5.20 | 3.40 | 1.65 | 2.05 | 1.25 | 1.11 |
| | | 4 მარტი | | | | | | |
| 17:35 | 10 | ბოლტონი-ბლეკბერნი | 1.95 | 3.20 | 3.90 | 1.21 | 1.29 | 1.75 |
| 20:00 | 11 | ვესტ ჰემი-ტოტენჰემი | 3.10 | 3.10 | 2.30 | 1.54 | 1.32 | 1.32 |
| | | ინგლისი. ჩემპიონატი | | | | | | |
| | | 2 მარტი | | | | | | |
| 23:45 | 14 | დერბი-კოლჩესტერი | 1.65 | 3.50 | 5.00 | 1.12 | 1.24 | 2.05 |
| | | 3 მარტი | | | | | | |
| 19:00 | 15 | ბარნსლი-ნორვიჩი | 2.15 | 3.20 | 3.20 | 1.28 | 1.28 | 1.60 |
| 19:00 | 16 | ბარნლი-კრისტალ პალასი | 2.40 | 3.20 | 2.75 | 1.37 | 1.28 | 1.47 |
| 19:00 | 17 | ქოვენთრი-ჰალი | 1.90 | 3.30 | 3.85 | 1.20 | 1.27 | 1.77 |
| 19:00 | 18 | იფსვიჩი-ქპრ | 1.85 | 3.30 | 4.10 | 1.18 | 1.27 | 1.82 |
| 19:00 | 19 | ლიდსი-უენსდი | 2.35 | 3.20 | 2.80 | 1.35 | 1.27 | 1.49 |
| 19:00 | 20 | ლუტონი-ვულვერჰემპტონი | 2.65 | 3.20 | 2.45 | 1.44 | 1.27 | 1.38 |
| 19:00 | 21 | პლიმუთი-სტოკი | 2.30 | 3.20 | 2.90 | 1.33 | 1.28 | 1.52 |
| 19:00 | 22 | საუთენდი-ლესტერი | 2.30 | 3.20 | 2.85 | 1.33 | 1.27 | 1.50 |
| 19:00 | 23 | ვესტ ბრომვიჩი-სანდერლენდი | 2.05 | 3.20 | 3.40 | 1.24 | 1.27 | 1.64 |
| | | 4 მარტი | | | | | | |
| 15:30 | 24 | ბირმინგემი-კარდიფი | 1.85 | 3.20 | 4.00 | 1.17 | 1.26 | 1.77 |
| | | 5 მარტი | | | | | | |
| 23:45 | 25 | პრესტონი-საუთჰემპტონი | 2.25 | 3.20 | 3.00 | 1.32 | 1.28 | 1.54 |
| | | ინგლისი. I ლიგა | | | | | | |
| | | 2 მარტი | | | | | | |
| 23:45 | 28 | ტრანმერი-ჩესტერფილდი | 1.65 | 3.40 | 5.00 | 1.11 | 1.24 | 2.02 |
| | | 3 მარტი | | | | | | |
| 19:00 | 29 | ბორნმუთი-დონკასტერი | 2.45 | 3.20 | 2.60 | 1.38 | 1.26 | 1.43 |
| 19:00 | 30 | ბრენტფორდი-სკანთორპი | 3.10 | 3.20 | 2.10 | 1.57 | 1.25 | 1.26 |
| 19:00 | 31 | ბრისტოლი-ნორთჰემპტონი | 1.60 | 3.50 | 5.20 | 1.09 | 1.22 | 2.09 |
| 19:00 | 32 | კარლაილი-ოლდემი | 2.20 | 3.20 | 3.00 | 1.30 | 1.26 | 1.54 |
| 19:00 | 33 | ქრიუ-ბრაიტონი | 1.95 | 3.40 | 3.50 | 1.23 | 1.25 | 1.72 |
| 19:00 | 34 | ჯილინგემი-ბლეკპული | 2.25 | 3.20 | 2.85 | 1.32 | 1.25 | 1.50 |
| 19:00 | 35 | მილუოლი-ჩელტენემი | 1.75 | 3.30 | 4.20 | 1.14 | 1.23 | 1.84 |
| 19:00 | 36 | ნოტინგემი-ჰადერსფილდი | 1.65 | 3.40 | 4.80 | 1.11 | 1.22 | 1.99 |
| 19:00 | 37 | პორტ ვეილი-იოვილი | 2.60 | 3.20 | 2.45 | 1.43 | 1.26 | 1.38 |
| 19:00 | 38 | როტერჰემი-ბრედფორდი | 2.40 | 3.20 | 2.70 | 1.37 | 1.27 | 1.46 |
| 19:00 | 39 | სუონსი-ლეიტონი | 1.75 | 3.30 | 4.30 | 1.14 | 1.24 | 1.86 |
| | | ინგლისი. II ლიგა | | | | | | |
| | | 2 მარტი | | | | | | |
| 23:45 | 40 | ჩესტერი-ტორკი | 1.60 | 3.50 | 5.00 | 1.09 | 1.21 | 2.05 |
| 23:45 | 41 | შრიუსბერი-როვერსი | 2.00 | 3.20 | 3.35 | 1.23 | 1.25 | 1.63 |
| | | 3 მარტი | | | | | | |
| 19:00 | 42 | ბარნეტი-რექსემი | 1.80 | 3.30 | 3.90 | 1.16 | 1.23 | 1.78 |
| 19:00 | 43 | დარლინგტონი-უოლსოლი | 2.45 | 3.20 | 2.60 | 1.38 | 1.26 | 1.43 |
| 19:00 | 44 | გრიმსბი-ბერი | 1.90 | 3.20 | 3.80 | 1.19 | 1.26 | 1.73 |
| 19:00 | 45 | ჰარტლპული-ჰერეფორდი | 1.55 | 3.50 | 5.50 | 1.07 | 1.20 | 2.13 |
| 19:00 | 46 | ლინკოლნი-მენსფილდი | 1.65 | 3.50 | 5.00 | 1.12 | 1.24 | 2.05 |
| 19:00 | 47 | დონსი-ბოსტონი | 1.55 | 3.50 | 5.50 | 1.07 | 1.20 | 2.13 |
| 19:00 | 48 | პიტერბრო-ნოტსი | 2.10 | 3.20 | 3.20 | 1.26 | 1.26 | 1.60 |
| 19:00 | 49 | როჩდეილი-ბრინგტონი | 1.85 | 3.20 | 3.80 | 1.17 | 1.24 | 1.73 |
| 19:00 | 50 | სტოკპორტი-სუინდონი | 2.05 | 3.20 | 3.30 | 1.24 | 1.26 | 1.62 |
| 19:00 | 51 | უიკომბი-მაკლსფილდი | 1.85 | 3.20 | 3.80 | 1.17 | 1.24 | 1.73 |
| | | ინგლისი. კონფერენსი | | | | | | |
| | | 2 მარტი | | | | | | |
| 23:30 | 54 | ბარტონი-ალტრინჰემი | 1.60 | 3.50 | 5.10 | 1.09 | 1.21 | 2.07 |
| | | 3 მარტი | | | | | | |
| 19:00 | 55 | ქროული-ალდერშოტი | 2.10 | 3.20 | 3.00 | 1.26 | 1.23 | 1.54 |
| 19:00 | 56 | გრეისი-ვეიმუთი | 2.15 | 3.30 | 2.90 | 1.30 | 1.23 | 1.54 |
| 19:00 | 57 | კიდერმინსტერი-გრეივზენდი | 2.25 | 3.20 | 2.80 | 1.32 | 1.24 | 1.49 |
| 19:00 | 58 | მორიკომბი-სტ.ალბანსი | 1.45 | 3.60 | 6.50 | 1.03 | 1.18 | 2.31 |
| 19:00 | 59 | ნორთვიჩი-ტემუორთი | 1.85 | 3.30 | 3.65 | 1.18 | 1.22 | 1.73 |
| 19:00 | 60 | ოქსფორდი-სტივენეიჯი | 1.95 | 3.20 | 3.40 | 1.21 | 1.23 | 1.64 |
| 19:00 | 61 | რაშდენი -ექსეტერი | 2.25 | 3.30 | 2.70 | 1.33 | 1.22 | 1.48 |
| 19:00 | 62 | საუთპორტი-დაგ ენდ რედი | 4.30 | 3.40 | 1.70 | 1.89 | 1.21 | 1.13 |
| 19:00 | 63 | სტ.რეინჯერსი-კემბრიჯი | 2.10 | 3.20 | 3.10 | 1.26 | 1.25 | 1.57 |
| 19:00 | 64 | უოკინგი-ჰალიფაქსი | 2.00 | 3.20 | 3.30 | 1.23 | 1.24 | 1.62 |
| 19:00 | 65 | იორკი-ფორესტ გრინი | 1.65 | 3.50 | 4.60 | 1.12 | 1.21 | 1.98 |
| | | შოტლანდია. პრემიერლიგა | | | | | | |
| | | 3 მარტი | | | | | | |
| 19:00 | 66 | სელტიკი-დანფერმლაინი | 1.15 | 6.20 | 13.00 | 1.00 | 1.05 | 4.19 |
| 19:00 | 68 | ფოლკირკი-აბერდინი | 2.85 | 3.20 | 2.25 | 1.50 | 1.25 | 1.32 |
| 19:00 | 69 | ინვერნესი-დანდი იუნაიტედი | 2.10 | 3.20 | 3.20 | 1.26 | 1.26 | 1.60 |
| 19:00 | 70 | სტ.მირენი-კილმარნოკი | 2.75 | 3.20 | 2.35 | 1.47 | 1.26 | 1.35 |
| | | 4 მარტი | | | | | | |
| 18:00 | 71 | ჰიბერნიანი-რეინჯერსი | 3.75 | 3.30 | 1.90 | 1.75 | 1.26 | 1.20 |
| | | 5 მარტი | | | | | | |
| 23:45 | 73 | მოზერუელი-ჰართსი | 3.20 | 3.20 | 2.10 | 1.60 | 1.26 | 1.26 |
| | | შოტლანდია. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 3 მარტი | | | | | | |
| 19:00 | 75 | გრეტნა-ქუინი | 1.35 | 4.30 | 7.00 | 1.02 | 1.13 | 2.66 |
| 19:00 | 76 | ჰამილტონი-ერდრი | 1.65 | 3.70 | 4.20 | 1.14 | 1.18 | 1.96 |
| 19:00 | 77 | ლივინგსტონი-დანდი | 2.25 | 3.40 | 2.60 | 1.35 | 1.20 | 1.47 |
| 19:00 | 78 | პარტიკი-კლაიდი | 2.25 | 3.40 | 2.65 | 1.35 | 1.21 | 1.48 |
| 19:00 | 79 | როსი-სტ.ჯონსტონი | 3.10 | 3.30 | 2.05 | 1.59 | 1.23 | 1.26 |
| | | შოტლანდია. II დივიზიონი | | | | | | |
| | | 3 მარტი | | | | | | |
| 19:00 | 80 | კოუდენბითი-რეითი | 2.85 | 3.40 | 2.10 | 1.55 | 1.20 | 1.29 |
| 19:00 | 81 | ფორფარი-ბრეჩინი | 4.00 | 3.50 | 1.70 | 1.86 | 1.19 | 1.14 |
| 19:00 | 82 | მორტონი-პიტერჰედი | 1.42 | 4.10 | 5.50 | 1.05 | 1.12 | 2.34 |
| 19:00 | 83 | სტირლინგი-ალოა | 1.50 | 3.80 | 5.00 | 1.07 | 1.15 | 2.15 |
| 19:00 | 84 | სტრანრარი-ეარი | 2.20 | 3.40 | 2.65 | 1.33 | 1.20 | 1.48 |
| | | შოტლანდია. III დივიზიონი | | | | | | |
| | | 3 მარტი | | | | | | |
| 19:00 | 86 | დამბარტონი-ბერიკი | 2.40 | 3.30 | 2.50 | 1.38 | 1.22 | 1.42 |
| 19:00 | 87 | ისტ ფაიფი-ელგინი | 1.45 | 4.00 | 5.20 | 1.06 | 1.13 | 2.26 |
| 19:00 | 88 | მონტროუზი-არბროთი | 3.30 | 3.30 | 1.95 | 1.64 | 1.22 | 1.22 |
| 19:00 | 89 | ქუინზ პარკი-ალბიონი | 1.70 | 3.50 | 4.00 | 1.14 | 1.19 | 1.86 |
| 19:00 | 90 | სტენჰაუზმური-ისტ სტირლინგი | 1.65 | 3.60 | 4.30 | 1.13 | 1.19 | 1.95 |
| | | გერმანია. I ბუნდესლიგა | | | | | | |
| | | 2 მარტი | | | | | | |
| 23:30 | 91 | შალკე-ჰამბურგი | 1.90 | 3.20 | 4.00 | 1.19 | 1.28 | 1.77 |
| | | 3 მარტი | | | | | | |
| 18:30 | 93 | არმინია-ნიურნბერგი | 2.85 | 3.20 | 2.35 | 1.50 | 1.28 | 1.35 |
| 18:30 | 94 | ჰერტა-ბაიერნი | 3.10 | 3.20 | 2.20 | 1.57 | 1.28 | 1.30 |
| 18:30 | 95 | ლევერკუზენი-შტუტგარტი | 2.60 | 3.20 | 2.60 | 1.43 | 1.29 | 1.43 |
| 18:30 | 97 | ვერდერი-ბოხუმი | 1.32 | 4.50 | 9.00 | 1.02 | 1.15 | 3.00 |
| 18:30 | 99 | ვოლფსბურგი-მიონხენგლადბახი | 1.90 | 3.20 | 3.85 | 1.19 | 1.27 | 1.74 |
| 18:30 | 461 | აინტრახტი-ჰანოვერი | 2.40 | 3.10 | 2.80 | 1.35 | 1.29 | 1.47 |
| | | 4 მარტი | | | | | | |
| 20:00 | 101 | ალემანია-მაინცი | 2.25 | 3.20 | 3.00 | 1.32 | 1.28 | 1.54 |
| 20:00 | 102 | დორტმუნდი-კოტბუსი | 1.60 | 3.50 | 5.70 | 1.09 | 1.24 | 2.16 |
| | | გერმანია. II ბუნდესლიგა | | | | | | |
| | | 2 მარტი | | | | | | |
| 21:00 | 104 | აუე-კაიზერსლაუტერნი | 2.45 | 3.20 | 2.60 | 1.38 | 1.26 | 1.43 |
| 21:00 | 105 | ფიურტი-აუგსბურგი | 1.90 | 3.20 | 3.75 | 1.19 | 1.26 | 1.72 |
| 21:00 | 106 | უნტერჰახინგი-კარლ ცაისი | 2.15 | 3.20 | 3.00 | 1.28 | 1.25 | 1.54 |
| | | 4 მარტი | | | | | | |
| 17:00 | 107 | ფრაიბურგი-დუისბურგი | 2.20 | 3.10 | 2.90 | 1.28 | 1.25 | 1.49 |
| 17:00 | 108 | ჰანზა-ბურგჰაუზენი | 1.35 | 4.20 | 7.50 | 1.02 | 1.14 | 2.69 |
| 17:00 | 109 | მიუნხენი 1860-ბრაუნშვაიგი | 1.45 | 3.70 | 6.50 | 1.04 | 1.18 | 2.35 |
| 17:00 | 111 | კობლენცი-პადერბორნი | 2.15 | 3.10 | 3.00 | 1.26 | 1.25 | 1.52 |
| | | 5 მარტი | | | | | | |
| 23:15 | 112 | კარლსრუე-კიოლნი | 1.80 | 3.20 | 4.00 | 1.15 | 1.24 | 1.77 |
| | | ავსტრია. ბუნდესლიგა | | | | | | |
| | | 3 მარტი | | | | | | |
| 21:30 | 132 | ალტახი-შტურმი | 1.95 | 3.20 | 3.60 | 1.21 | 1.26 | 1.69 |
| 21:30 | 133 | გრაცერი-ტიროლი | 2.10 | 3.10 | 3.30 | 1.25 | 1.28 | 1.59 |
| 21:30 | 134 | მატერსბურგი-რიდი | 1.95 | 3.10 | 3.70 | 1.19 | 1.27 | 1.68 |
| 21:30 | 135 | პაშინგი-ზალცბურგი | 3.10 | 3.10 | 2.20 | 1.54 | 1.28 | 1.28 |
| | | 4 მარტი | | | | | | |
| 18:30 | 136 | აუსტრია-რაპიდი | 2.25 | 3.10 | 3.00 | 1.30 | 1.28 | 1.52 |
| | | შვეიცარია. სუპერლიგა | | | | | | |
| | | 3 მარტი | | | | | | |
| 20:45 | 137 | სტ.გალენი-ლუცერნი | 1.55 | 3.50 | 5.70 | 1.07 | 1.21 | 2.16 |
| 20:45 | 138 | იანგ ბოიზი-სიონი | 1.80 | 3.30 | 4.00 | 1.16 | 1.24 | 1.80 |
| | | 4 მარტი | | | | | | |
| 19:00 | 139 | აარაუ-თუნი | 2.15 | 3.20 | 3.10 | 1.28 | 1.26 | 1.57 |
| 19:00 | 140 | გრასჰოპერი-ბაზელი | 2.45 | 3.10 | 2.70 | 1.36 | 1.28 | 1.44 |
| 19:00 | 141 | შაფჰაუზენი-ციურიხი | 4.40 | 3.50 | 1.70 | 1.94 | 1.22 | 1.14 |
| | | იტალია. სერია B | | | | | | |
| | | 3 მარტი | | | | | | |
| 19:00 | 179 | ალბინოლეფე-ბრეშა | 2.25 | 2.60 | 3.60 | 1.20 | 1.38 | 1.50 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 180 | ბარი-არეცო | 2.15 | 2.70 | 3.60 | 1.19 | 1.34 | 1.54 |
| 18:00 | 181 | ჩეზენა-ბოლონია | 2.55 | 2.60 | 3.00 | 1.28 | 1.37 | 1.39 |
| 18:00 | 182 | ფროზინონე-ვიჩენცა | 2.15 | 2.60 | 3.80 | 1.17 | 1.37 | 1.54 |
| 18:00 | 183 | ჯენოა-ლეჩე | 1.50 | 3.30 | 7.00 | 1.03 | 1.23 | 2.24 |
| 19:00 | 184 | მოდენა-რიმინი | 2.60 | 2.70 | 2.75 | 1.32 | 1.33 | 1.36 |
| 19:00 | 185 | ნაპოლი-სპეცია | 1.40 | 3.50 | 8.50 | 1.00 | 1.20 | 2.47 |
| 19:00 | 187 | ვერონა-პესკარა | 2.15 | 2.70 | 3.60 | 1.19 | 1.34 | 1.54 |
| | | 4 მარტი | | | | | | |
| 23:30 | 188 | იუვენტუსი-პიაჩენცა | 1.25 | 4.50 | 12.00 | 1.00 | 1.13 | 3.27 |
| | | 5 მარტი | | | | | | |
| 23:45 | 178 | მანტოვა-ტრიესტინა | 1.55 | 3.20 | 7.00 | 1.04 | 1.26 | 2.19 |
| | | ესპანეთი. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 3 მარტი | | | | | | |
| 23:45 | 216 | სევილია-ბარსელონა | 2.55 | 3.20 | 2.55 | 1.41 | 1.27 | 1.41 |
| 23:00 | 217 | ვალენსია-სელტა | 1.42 | 4.00 | 7.50 | 1.04 | 1.19 | 2.60 |
| | | 4 მარტი | | | | | | |
| 21:00 | 208 | ბილბაო-ტარაგონა | 1.75 | 3.20 | 4.70 | 1.13 | 1.27 | 1.90 |
| 21:00 | 209 | ესპანიოლი-ვილიარეალი | 2.10 | 3.20 | 3.35 | 1.26 | 1.29 | 1.63 |
| 21:00 | 210 | დეპორტივო-ბეტისი | 2.10 | 3.20 | 3.20 | 1.26 | 1.26 | 1.60 |
| 21:00 | 211 | მალიორკა-ლევანტე | 2.00 | 3.20 | 3.55 | 1.23 | 1.27 | 1.68 |
| 22:00 | 212 | რეალი-ხეტაფე | 1.60 | 3.40 | 5.70 | 1.08 | 1.24 | 2.12 |
| 23:45 | 214 | უელვა-ატლეტიკო | 2.60 | 3.20 | 2.60 | 1.43 | 1.29 | 1.43 |
| 21:00 | 215 | რასინგი-ოსასუნა | 2.20 | 3.20 | 3.20 | 1.30 | 1.30 | 1.60 |
| 21:00 | 219 | სარაგოსა-სოსიედადი | 1.50 | 3.70 | 6.70 | 1.06 | 1.22 | 2.38 |
| | | ესპანეთი. II დივიზიონი | | | | | | |
| | | 3 მარტი | | | | | | |
| 21:30 | 220 | ალავესი-მურსია | 2.40 | 2.90 | 2.90 | 1.31 | 1.31 | 1.45 |
| 21:30 | 221 | ალბასეტე-ტენერიფე | 2.15 | 2.90 | 3.35 | 1.23 | 1.30 | 1.55 |
| 21:30 | 222 | კასტელონი-კადისი | 2.90 | 2.90 | 2.35 | 1.45 | 1.29 | 1.29 |
| 23:00 | 226 | ლას პალმასი-მალაგა | 2.25 | 2.90 | 3.20 | 1.26 | 1.32 | 1.52 |
| | | 4 მარტი | | | | | | |
| 20:00 | 223 | სიუდადი-ელჩე | 1.75 | 3.20 | 4.40 | 1.13 | 1.25 | 1.85 |
| 20:30 | 224 | სპორტინგი-რეალი(ბ) | 1.90 | 3.10 | 3.90 | 1.17 | 1.27 | 1.72 |
| 15:00 | 225 | ჰერკულესი-ალმერია | 2.55 | 2.90 | 2.65 | 1.35 | 1.29 | 1.38 |
| 20:00 | 227 | ნუმანსია-ვეცინდარიო | 1.50 | 3.60 | 6.00 | 1.05 | 1.20 | 2.25 |
| 20:00 | 228 | ეხიდო-პონფერადინა | 1.65 | 3.30 | 5.00 | 1.10 | 1.24 | 1.98 |
| 20:00 | 229 | სალამანკა-ვალიადოლიდი | 3.00 | 2.90 | 2.30 | 1.47 | 1.30 | 1.28 |
| 21:00 | 230 | სერესი-ლორკა | 1.70 | 3.20 | 4.50 | 1.11 | 1.23 | 1.87 |
| | | საფრანგეთი. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 3 მარტი | | | | | | |
| 23:00 | 233 | ოსერი-რენი | 2.30 | 3.00 | 3.20 | 1.30 | 1.33 | 1.54 |
| 23:00 | 234 | ლილი-ტრუა | 1.55 | 3.40 | 6.50 | 1.06 | 1.25 | 2.23 |
| 23:00 | 236 | ლორიანი-ნიცა | 2.45 | 2.90 | 3.00 | 1.32 | 1.34 | 1.47 |
| 23:00 | 238 | მონაკო-ბორდო | 2.40 | 3.00 | 3.00 | 1.33 | 1.33 | 1.50 |
| 23:00 | 239 | ნანსი-ლე მანი | 2.20 | 2.90 | 3.40 | 1.25 | 1.33 | 1.56 |
| 23:00 | 240 | სედანი-პსჟ | 3.10 | 2.90 | 2.40 | 1.49 | 1.35 | 1.31 |
| 23:00 | 241 | ვალენსიენი-ტულუზი | 2.45 | 3.00 | 2.85 | 1.34 | 1.31 | 1.46 |
| | | 4 მარტი | | | | | | |
| 21:00 | 243 | სოშო-ნანტი | 1.80 | 3.10 | 4.70 | 1.13 | 1.30 | 1.86 |
| 23:45 | 244 | მარსელი-ლანსი | 2.25 | 3.00 | 3.20 | 1.28 | 1.32 | 1.54 |
| | | ბელგია. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 2 მარტი | | | | | | |
| 23:30 | 256 | რუზელარე-ვარეგემი | 1.85 | 3.30 | 3.80 | 1.18 | 1.24 | 1.76 |
| | | 3 მარტი | | | | | | |
| 21:00 | 257 | ბევერენი-გენკი | 4.60 | 3.50 | 1.65 | 1.98 | 1.21 | 1.12 |
| 23:00 | 259 | ანდერლეხტი-შარლერუა | 1.30 | 4.50 | 8.00 | 1.00 | 1.11 | 2.88 |
| 23:00 | 261 | სერკლი-სტანდარდი | 3.70 | 3.40 | 1.85 | 1.77 | 1.23 | 1.19 |
| 23:00 | 263 | გენტი-ლიერსი | 1.26 | 4.70 | 9.50 | 1.00 | 1.11 | 3.14 |
| 23:00 | 264 | მონსი-ლოკერენი | 1.95 | 3.30 | 3.45 | 1.22 | 1.24 | 1.68 |
| 23:00 | 265 | სტ.ტრუიდენი-მუსკრონი | 1.90 | 3.30 | 3.65 | 1.20 | 1.24 | 1.73 |
| 23:00 | 266 | ვესტერლო-ბრიუსელი | 1.75 | 3.40 | 4.10 | 1.15 | 1.22 | 1.85 |
| | | 4 მარტი | | | | | | |
| 21:00 | 267 | ბეერსხოტი-ბრიუგე | 3.10 | 3.20 | 2.15 | 1.57 | 1.26 | 1.28 |
| | | ჰოლანდია. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 2 მარტი | | | | | | |
| 23:30 | 277 | ნაიმეგენი-ტვენტე | 2.75 | 3.20 | 2.30 | 1.47 | 1.25 | 1.33 |
| | | 3 მარტი | | | | | | |
| 22:30 | 278 | პსვ-ვალვაიკი | 1.15 | 6.00 | 13.00 | 1.00 | 1.05 | 4.10 |
| 22:30 | 280 | ტილბურგი-სპარტა | 2.20 | 3.20 | 3.10 | 1.30 | 1.28 | 1.57 |
| 23:00 | 281 | გრონინგენი-ბრედა | 2.10 | 3.20 | 3.30 | 1.26 | 1.28 | 1.62 |
| 23:00 | 282 | ვიტესი-ექსელსიორი | 1.45 | 3.80 | 6.00 | 1.04 | 1.16 | 2.32 |
| | | 4 მარტი | | | | | | |
| 17:30 | 283 | აიაქსი-ჰერენვენი | 1.30 | 4.50 | 8.00 | 1.00 | 1.11 | 2.88 |
| 17:30 | 285 | ფეიენოორდი-როდა | 1.60 | 3.40 | 5.50 | 1.08 | 1.23 | 2.10 |
| 17:30 | 286 | ჰერაკლესი-დენ ჰააგი | 2.00 | 3.20 | 3.40 | 1.23 | 1.25 | 1.64 |
| 17:30 | 287 | უტრეხტი-ალკმაარი | 3.80 | 3.20 | 1.85 | 1.73 | 1.24 | 1.17 |
| | | ჰოლანდია. II დივიზიონი | | | | | | |
| | | 2 მარტი | | | | | | |
| 23:00 | 289 | აპელდორნი-ვეენდამი | 3.10 | 3.20 | 2.10 | 1.57 | 1.25 | 1.26 |
| 23:00 | 290 | კამბური-დორდრეხტი | 3.20 | 3.30 | 2.00 | 1.62 | 1.23 | 1.24 |
| 23:00 | 291 | გრააფსხაპი-ოსი | 1.22 | 5.10 | 10.00 | 1.00 | 1.08 | 3.37 |
| 23:00 | 292 | დენ ბოსხი-ზვოლე | 1.85 | 3.30 | 3.70 | 1.18 | 1.23 | 1.74 |
| 23:00 | 293 | ეინდჰოვენი-ჰაარლემი | 2.75 | 3.20 | 2.25 | 1.47 | 1.23 | 1.32 |
| 23:00 | 294 | ემენი-სიტარდი | 1.60 | 3.50 | 4.80 | 1.09 | 1.20 | 2.02 |
| 23:00 | 295 | იგლსი-ვოლენდამი | 2.35 | 3.20 | 2.60 | 1.35 | 1.23 | 1.43 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:00 | 296 | მაასტრიხტი-როზენდალი | 3.20 | 3.30 | 1.95 | 1.62 | 1.21 | 1.22 |
| 23:00 | 297 | ალმერე-ჰელმონდი | 1.75 | 3.30 | 3.90 | 1.14 | 1.20 | 1.78 |
| 23:00 | 298 | ტელსტარი-ვენლო | 2.85 | 3.30 | 2.15 | 1.52 | 1.22 | 1.30 |
| | | პორტუგალია. სუპერლიგა | | | | | | |
| | | 2 მარტი | | | | | | |
| 23:45 | 307 | ფერეირა-სეტუბალი | 1.55 | 3.50 | 5.20 | 1.07 | 1.19 | 2.09 |
| | | 3 მარტი | | | | | | |
| 23:45 | 304 | ავეში-ბენფიკა | 6.50 | 3.80 | 1.45 | 2.39 | 1.18 | 1.04 |
| 23:15 | 310 | პორტუ-ბრაგა | 1.50 | 3.80 | 5.70 | 1.07 | 1.18 | 2.27 |
| | | 4 მარტი | | | | | | |
| 20:00 | 303 | ამადორა-მარიტიმუ | 2.20 | 3.20 | 3.00 | 1.30 | 1.26 | 1.54 |
| 20:00 | 305 | ბეირა მარი-ნავალი | 2.50 | 3.20 | 2.55 | 1.40 | 1.26 | 1.41 |
| 23:45 | 308 | ლეირია-სპორტინგი | 3.60 | 3.10 | 1.95 | 1.66 | 1.26 | 1.19 |
| 20:00 | 309 | ნასიონალი-აკადემიკა | 1.85 | 3.30 | 3.85 | 1.18 | 1.24 | 1.77 |
| | | 5 მარტი | | | | | | |
| 23:45 | 306 | ბოავიშტა-ბელენენსეში | 2.10 | 3.10 | 3.20 | 1.25 | 1.26 | 1.57 |
| | | საბერძნეთი | | | | | | |
| | | 3 მარტი | | | | | | |
| 18:45 | 319 | იონიკოსი-ქსანთი | 6.50 | 4.00 | 1.40 | 2.47 | 1.15 | 1.03 |
| 21:00 | 320 | აეკ-არისი | 1.40 | 3.80 | 8.00 | 1.02 | 1.19 | 2.57 |
| | | 4 მარტი | | | | | | |
| 17:00 | 321 | ეგალეო-პანიონიოსი | 2.05 | 2.90 | 3.80 | 1.20 | 1.33 | 1.64 |
| 17:00 | 322 | ერგოტელისი-ატრომიტოსი | 1.90 | 3.20 | 4.00 | 1.19 | 1.28 | 1.77 |
| 17:00 | 323 | ირაკლისი-კალამარია | 1.75 | 3.20 | 4.50 | 1.13 | 1.25 | 1.87 |
| 18:45 | 324 | კერკირა-პაოკ | 2.60 | 2.90 | 2.60 | 1.37 | 1.29 | 1.37 |
| 18:45 | 325 | ოლიმპია-ოფი | 1.90 | 3.10 | 3.65 | 1.17 | 1.24 | 1.67 |
| 21:00 | 326 | ოლიმპიაკოსი-პანათინაიკოსი | 2.10 | 3.00 | 3.40 | 1.23 | 1.29 | 1.59 |
| | | თურქეთი | | | | | | |
| | | 2 მარტი | | | | | | |
| 22:00 | 329 | ბურსა-ანტალია | 1.95 | 3.20 | 3.65 | 1.21 | 1.27 | 1.70 |
| | | 3 მარტი | | | | | | |
| 21:00 | 328 | ბეშიქთაში-გალათასარაი | 2.35 | 3.20 | 2.80 | 1.35 | 1.27 | 1.49 |
| 16:00 | 330 | დენიზლი-ანკარაგიუჯიუ | 2.20 | 3.20 | 3.10 | 1.30 | 1.28 | 1.57 |
| 16:00 | 334 | კაისერი-რიზე | 1.60 | 3.30 | 5.30 | 1.07 | 1.22 | 2.03 |
| | | 4 მარტი | | | | | | |
| 16:00 | 327 | ანკარა-საკარია | 1.70 | 3.30 | 4.55 | 1.12 | 1.23 | 1.91 |
| 21:00 | 331 | ფენერბაჩე-სივასპორი | 1.27 | 4.80 | 9.00 | 1.00 | 1.11 | 3.13 |
| 16:00 | 333 | გაზიანთეფი-ერჯიესი | 1.85 | 3.20 | 3.90 | 1.17 | 1.25 | 1.75 |
| 17:00 | 335 | კონია-ტრაბზონი | 2.45 | 3.20 | 2.65 | 1.38 | 1.27 | 1.44 |
| 16:00 | 336 | მანისა-გენჩლერბირლიგი | 2.35 | 3.20 | 2.70 | 1.35 | 1.25 | 1.46 |
| | | ჩილე | | | | | | |
| | | 1 მარტი | | | | | | |
| 23:45 | 382 | დ.კონსეპსიონი-უნ.ჩილე | 2.50 | 3.10 | 2.45 | 1.38 | 1.23 | 1.36 |
| | | თურქეთი. თასი | | | | | | |
| | | 1 მარტი | | | | | | |
| 22:00 | 436 | გენჩლერბირლიგი-ფენერბაჩე | 3.60 | 3.30 | 1.85 | 1.72 | 1.22 | 1.18 |
| | | ლიბერტადორესის თასი | | | | | | |
| | | 1 მარტი | | | | | | |
| 23:45 | 458 | სანტოსი-დეფენსორი | 1.20 | 5.10 | 10.00 | 1.00 | 1.07 | 3.37 |
| 23:45 | 459 | ბოკა ხუნიორსი-სიენსიანო | 1.15 | 6.00 | 12.00 | 1.00 | 1.04 | 4.00 |
| 23:45 | 460 | ამერიკა-ლიბერტადი | 1.50 | 3.60 | 5.50 | 1.05 | 1.17 | 2.17 |
| | | ჰოკეი. ფინეთი | | | | | | |
| | | 1 მარტი | | | | | | |
| 20:30 | 574 | ესპოო-სეიპა | 1.40 | 4.50 | 4.10 | 1.06 | 1.04 | 2.14 |
| 20:30 | 575 | იოკერიტი-ლუკო | 1.50 | 4.30 | 3.80 | 1.11 | 1.07 | 2.01 |
| 20:30 | 576 | კერპეტი-პელიკანსი | 1.35 | 4.50 | 5.00 | 1.03 | 1.06 | 2.36 |
| 20:30 | 577 | ტაპარა-იუვესკიულე | 1.45 | 4.30 | 4.00 | 1.08 | 1.06 | 2.07 |
| 20:30 | 578 | ტურკუ-ილვესი | 1.75 | 4.20 | 2.80 | 1.23 | 1.07 | 1.67 |
| 20:30 | 579 | ესეტი-კალპა | 1.75 | 4.10 | 3.00 | 1.22 | 1.10 | 1.73 |
| 20:30 | 580 | ჰაამეენლინა-ჰელსინკი | 1.80 | 4.20 | 2.80 | 1.25 | 1.09 | 1.67 |
| | | ჰოკეი. გერმანია | | | | | | |
| | | 2 მარტი | | | | | | |
| 22:30 | 588 | ფრანკფურტი-ინგოლშტადი | 1.90 | 4.40 | 2.35 | 1.32 | 1.05 | 1.53 |
| 22:30 | 589 | დუისბურგი-სტრაუბინგი | 2.40 | 4.20 | 2.10 | 1.52 | 1.12 | 1.39 |
| 22:30 | 590 | კიოლნი-დიუსელდორფი | 2.00 | 4.30 | 2.30 | 1.36 | 1.06 | 1.49 |
| 22:30 | 591 | აუგსბურგი-კრეფელდი | 2.60 | 4.30 | 1.80 | 1.62 | 1.06 | 1.26 |
| 22:30 | 592 | ნიურნბერგი-აისბარენი | 1.60 | 4.40 | 3.00 | 1.17 | 1.04 | 1.78 |
| 22:30 | 593 | ჰანოვერი-ჰამბურგი | 2.00 | 4.20 | 2.30 | 1.35 | 1.06 | 1.48 |
| | | ჰოკეი. რუსეთი | | | | | | |
| | | 1 მარტი | | | | | | |
| 19:30 | 612 | სევერსტალი-ლადა | 1.90 | 4.20 | 2.40 | 1.30 | 1.06 | 1.52 |
| 20:00 | 613 | ხიმიკი-ამური | 1.15 | 4.80 | 5.80 | 1.00 | 1.00 | 2.62 |
| 20:00 | 614 | ნეფტეხიმიკი-დინამო | 2.20 | 4.20 | 2.20 | 1.44 | 1.10 | 1.44 |
| 20:00 | 615 | ცსკა-ვიტიაზი | 1.32 | 4.50 | 4.80 | 1.02 | 1.03 | 2.32 |
| 16:30 | 616 | ავანგარდი-აკ ბარსი | 2.15 | 4.20 | 2.20 | 1.42 | 1.08 | 1.44 |
| 16:30 | 617 | სიბირი-ნოვოკუზნეცკი | 1.30 | 4.50 | 4.80 | 1.00 | 1.02 | 2.32 |
| 20:00 | 618 | მვდ-ასკ | 1.90 | 4.30 | 2.40 | 1.31 | 1.06 | 1.54 |
| | | კალათბურთი. ევროლიგა | | | | | | |
| | | 1 მარტი | | | | | | |
| 22:45 | 732 | არისი-ბენეტონი | 1.70 | 12.00 | 1.90 | 1.48 | 1.00 | 1.64 |
| 22:45 | 733 | ოლიმპიაკოსი-ცსკა | 1.90 | 12.00 | 1.65 | 1.64 | 1.00 | 1.45 |
| 22:45 | 734 | მაკაბი-ორტეზი | 1.07 | 12.00 | 5.50 | 1.00 | 1.00 | 3.77 |
| 23:45 | 735 | ბარსელონა-ეფესი | 1.15 | 12.00 | 4.30 | 1.04 | 1.00 | 3.16 |
| 23:45 | 736 | პარტიზანი-ხუვენტუდი | 1.80 | 12.00 | 1.80 | 1.56 | 1.00 | 1.56 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

## ულების თასი 2006-07
### მეოთხედფინალი. პირველი მატჩები

**უნიქსი 83:53 სიენა**
სიენა: ბოისა (21 წუთი, 4 ქულა, 4 მოხსნა, 1 პასი)
**ცრვენა ზვეზდა 72:83 რეალი**
**სტრასბური 83:70 ლიეტუვოს რიტასი**
**ჰაპოელი 88:79 FMP**


სიმონე პიანიჯანი: იმედი ბოლოს კვდება

ელექტრონული ბიბლიოთეკა

# პიანიჯანიმ ენა გამოყო: ჩემი სიენა და მისი ჯანი

**ულებ-ის** თასზე ერთადერთი ჩვენიანი გვყავდა და როგორც ჩანს, მალე ამ ტურნირს ვლადიმერ ბოისაც გამოაკლდება. ჯგუფური ეტაპისას საპლეიოფო საგზურის ყველაზე ადრიანად გამნაღდებელი და აქამდე სულ რიხით მისული იტალიური „სიენა“ სამშაბათს ყაზანში შერცხვა, იქაურ „უნიკსთან“ 30 ქულით დამარცხდა და ახლა სასწაული თუღა უშველის, თასისთვის ბრძოლა რომ გააგრძელოს.

სიენელები რუსეთში დიდი ამბიციით ჩავიდნენ და თუკი გამარჯვებას არა, მინიმალური სხვაობით წაგებას მაინც გეგმავდნენ, რათა განმეორებითი შეხვედრისთვის ხელსაყრელი ამინდი შეექმნათ, მაგრამ ყაზანელებმა ისეთი შემართებით ითამაშეს, „სიენა“ კი არა, ბარე ორი გუნდი წინ ვერ დაუდგებოდათ.

მასპინძლებმა პირველივე მეოთხედში დაანახვეს სტუმრებს, რომ იოლი გასეირნება არ ელოდათ. „უნიკსმა“ საწყისი ათწუთეული 22:8 მოიგო და მერე სულ ზრდიდა და ზრდიდა უპირატესობას.

„თამაში ცუდად დავიწყეთ, ისეთი ბურთები ვერ ჩავაგდეთ, რაც უპატიებელია და ამან საერთოდ ამოგვაგდო რიტმიდან — თქვა ნამატჩევს იტალიელთა დამრიგებელმა სიმონე პიანიჯანიმ — ჩემი გუნდი იტალიის ჩემპიონატში ყველაზე კარგად ესვრის სამქულიანებს, თუმც „უნიკსთან“ მიზანი საშინლად გაგვიმრუდდა, 23 ცდიდან მხოლოდ 4 სამიანი ჩავაგდეთ და ასეთ დროს რაიმე წარმატებაზე ფიქრი უაზრობაა. ახლა ალბათ ბევრი ფიქრობს, თითქოს ჩვენი საქმე მოთავებულია და განმეორებითი მატჩის მიუხედავად, განწირულები ვართ, მაგრამ მე მინდა ყველას ვუთხრა, რომ სიენაში სასწაულს ელოდნენ. თუკი „უნიკსმა“ იმარჯვა შინ 30 ქულით, ჩვენ რატომ არ შეგვიძლია იგივე გავაკეთოთ?! ვიცი, რომ ამის გაკეთება ძალიან ძნელი იქნება, მაგრამ ჩვენ მაინც შევეცდებით“.

ვლადიმერ ბოისამ ყაზანურ ფიცარნაგზე 21 წუთი ითამაშა და 4 ქულა დაგროვა, რაც მთლიანად საჯარიმოებით მოიხვეჭა. [illegible] ანგარიშზე იყო ასევე 4 მოხსნა და 1 შედეგიანი გადაცემა.

საპასუხო მატჩები ერთ კვირაში, 6 მარტს გაიმართება.

**ირაკლი პერტაია**

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

# ფინიქსმა აღმოსავლეთში გუნდი არ გააჭაჭანა



**დირკ ნოვიცკის** „დალასმა“ ზაზა ფაჩულიას „ატლანტას“ კევინ გარნეტის „მინესოტა“ მიაყოლა და ორ დღეში მეორე დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა. მინესოტელებს შანსიც არ მისცემიათ ლიგის უძლიერეს გუნდთან. ისე უსუსურად გამოიყურებოდნენ, რომ ტრიბუნიდან ერთმა მათმა გულშემატკივარმა დაუძახა — მოედანზე ხუთი ისეთი მოთამაშე მაინც გამოუშვით, რომლებით წინააღმდეობის იმიტაციას გააკეთებენო.

თავად კევინ გარნეტმა საშინლად ითამაშა, ბურთთან პირველი ექვსი შეხება ცუდად დაუმთავრდა — ერთხელ დაუფარეს, ხუთჯერ კი ბურთი დაკარგა. ლიდერი რომ ასე წვალობდა, დანარჩენი გუნდი რას იზამდა? მოკლედ, „მინესოტამ“ თავის არსებობაში ერთ-ერთი უსაშინლესი მატჩი ჩაატარა, თამაშიდან 81 სროლიდან მხოლოდ 24 ჩააგდო ანუ 29,6 პროცენტი და ყველა დროის შიდასაკლუბო ანტირეკორდს გამოჰკრა ხელი. მინესოტელებმა მეორე მეოთხედში მხოლოდ 8 ქულა შეაკოწიწეს, ტაიმში 27-ს დასჯერდნენ, მეოთხე პერიოდში 12-ზე მეტი ვერ გაახერხეს და თამაში 65 ქულის ინაბარა დაასრულეს.

ეს 65 ქულა „დალასისთვის“ ყველა დროის რეკორდი გახლავთ. ტეხასელებს მეტოქისთვის ამაზე ცოტა არასდროს ჩაუგდებინებიათ. სამიოდ წლის წინ ეს ამბავი დუნიას გაკვირვებად დაურჩებოდა. მაშინ ხომ დირკ ნოვიცკი, სტივ ნეში და კომპანია დონ ნელსონის მწვრთნელობით ისეთ შემტევ კალათბურთს თამაშობდნენ, დაცვას ნაკლებად დაგიდევდნენ. ახლა ენტონი ჯონსონის ხელმძღვანელობით ყველაფერი თავდაყირა დადგა. „დალასი“ მეტოქის დაცვაში მოცელვას დაეჩვია და უფრო კრკეტი და ურჯუკია. ტეხასელებისთვის ეს ზედიზედ მე-13 გამარჯვება გახლდათ და საქმეს ისეთი პირი უჩანს, რეგულარულ ჩემპიონატს ისინი მოიგებენ და არა ფინიქსელები ან ვინმე სხვები.

მაგრამ არც „ფინიქსია“ ჯაბანი. არიზონელებსაც მძლავრი სეზონი აქვთ და ერთი უნიკალური რეკორდისკენაც მიიწევენ — 15 აღმოსავლური გუნდიდან 14 უკვე დაამარცხეს მისსავე დარბაზში და თუ დღეს გამთენიისას უხეირო „ფილადელფიასაც“ მოუგეს, მთლად ისეთ რამეს შეძლებენ, აქამდე ნბა-ს ვერა გუნდს — ვერც აღმოსავლელს და ვერც დასავლელს — რომ ვერ მოუხერხებია.

„ფინიქსის“ მე-14 აღმოსავლელი მსხვერპლი „ინდიანა“ გახლდათ, რომელიც მართლაც მედგრად დაუხვდა მისისიპისგაღმელ მომხდურს, სამი მეოთხედი ვაჟკაცურად იცავდა თავის ციხე-სიმაგრეს და ბოლო მეოთხედის წინ 6 ქულასაც იგებდა, მაგრამ „ფინიქსმა“ სწორედ დასკვნით 12-წუთეულში გატეხა — 30:13 შეულეწა კარი და საათნახევრის შემდეგ „ფილადელფიაში“ გაფრინდა იქაური „სიქსერზის“ ასაოხრებლად.

**კოტე ყორშია**

**27 თებერვალი**

**მინესოტა 65:91 დალასი**
მინესოტა: გარნეტი (15 ქულა, 13 მოხსნა), დევისი (15)
დალასი: ნოვიცკი (23 ქულა, 10 მოხსნა), ტერი (18), ჰოვარდი (17)

**ნიუ ჯერსი 113:101 ვაშინგტონი**
ნიუ ჯერსი: კარტერი (27), კიდი (26 ქულა, 9 პასი, 8 მოხსნა), ნახბარი (23)
ვაშინგტონი: არენასი (26), ჰეიესი (21)

**ინდიანა 92:103 ფინიქსი**
ინდიანა: ონილი (28 ქულა, 13 მოხსნა), არმსტრონგი (17), დანლივი (16)
ფინიქსი: ნეში (25 ქულა, 11 მოხსნა), სტუდემაიერი (23 ქულა, 18 მოხსნა), მერიონი (18)

**კლივლენდი 97:89 ნიუ ორლეანი**
კლივლენდი: ჯეიმსი (35), გიბსონი (12), ილგაუსკასი (11)
ნიუ ორლეანი: ვესტი (25 ქულა, 10 მოხსნა), მეისონი (16), ჩანდლერი (14 ქულა, 10 მოხსნა)

**მილუოკი 192:101 გოლდენ სტეიტი**
მილუოკი: რედი (31), ბელი (20), პატერსონი (19), უილიამსი (16 ქულა, 13 პასი), ბოგუტი (19 ქულა, 14 მოხსნა)
გოლდენ სტეიტი: ელისი (17), ჰარინგტონი (15), აზუბუკე (14)

### ბატლერი ჯორდანს ანერვიულებს




ზურგის ტკივილმა ზედიზედ მეორე თამაში გამოატოვებინა „ვაშინგტონ ვიზარდსის“ 201-სანტიმეტრიან ფრთა კერონ ბატლერს. დედაქალაქური გუნდი უმისოდ არცთუ დამაჯერებლად გამოიყურება, სამშაბათს „ნიუ ჯერსისთან“ 21 ქულით წააგო და ქომაგებს დიდად აინტერესებთ, როდის დაუბრუნდება მოედანს საშუალოდ მატჩში 20,3 ქულა და 7,6 მოხსნის მკეთებელი ოლსტარელი.

„არ ვიცი, როდის გამოკეთდება ბატლერი, საერთოდ არაფერი არ ვიცი. მე მწვრთნელი ვარ, ექიმი კი არა — ჟურნალისტებს ნერვიულად პასუხობს გუნდის თავკაცი ედი ჯორდანი — ახლა ექიმები კიდევ გასინჯავენ და ვნახოთ, რა როგორ იქნება.“

### კროუფორდი მაჯამ მოტეხა

ნბა-ს სხვა მოთამაშეებსაც დარია ხელი ტრავმიანობამ. სეზონის ბოლომდე უქმობა ემუქრება „ნიუ იორკის“ ერთ-ერთ ლიდერ ჯამალ კროუფორდს, რომელმაც სასროლი, მარჯვენა ხელის მაჯა მოიტეხა და ბუნებრივია, მის გამთელებას ერთ-ორ კვირაზე მეტი დასჭირდება. არადა, მისი სახით „ნიუ იორკს“ საკმაოდ ბევრი დააკლდება, საშუალოდ 17,9 ქულა, 4,5 პასი და 3,3 მოხსნა. ეს გუნდი კი ისეთი ძლიერი ვერაა, ამგვარი დანაკლისი იოლად გადაიტანოს.

### ვეიდი ორჭოფობს



„მაიამი ჰითის“ დამტვრეულმა ლიდერმა დუეინ ვეიდმა ამ კვირის ბოლოს გადაწყვეტილება უნდა მიიღოს — გაიკეთოს თუ არა რამდენიმე დღის წინ დაშავებული მხრის ოპერაცია. თუ გადაწყვეტს და ქირურგებს თავის სხეულში სკალპელის შეყვანის ნებას დართავს, ყველა შემთხვევაში მოუწევს მთლიანად სეზონის გამოტოვება, ხოლო თუ თერაპიული კურსით ეცდება ტრავმის მკურნალობას, სეზონის ბოლოსკენ გუნდს კი წაეხმარება, მაგრამ საკითხავია, რის ფასად. შეიძლება ისე გაიმიზეზოს ტრავმა, რომ მერე კიდევ დიდი ხანი ბურთს ხელი ველარ მოჰკიდოს. მოკლედ, ორცეცხლშუა იდაგება ასოციაციის ერთ-ერთი ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავი.

შეიძლება ითქვას, რომ წინა პლეი ოფის გმირის გარეშე „მაიამი“ არათუ ჩემპიონობას ვერ შეინარჩუნებს, არამედ დიდი შანსია, წლეულს საერთოდ უპეიოფოდაც დარჩეს.

# პლასტიკური წახალისება



ბაჩო კოთოლაშვილის ფოტო

დავით ნამგალაურმა ამაგდარი მწვრთნელი მარლენ ოსიყმაშვილიც დააფასა

**საქართველოს** ყველა ასაკობრივ ნაკრებთა მწვრთნელები გუშინ სპორტის დეპარტამენტის საპრესკონფერენციო დარბაზში შეიკრიბნენ. ძიუდოს, თავისუფალი და ბერძნულ-რომაული სტილის ჭიდაობის, სპორტული ტანვარჯიშის, მძლეოსნობისა და კრივის სპეციალისტებს დეპარტამენტმა ყოველთვიური სტიპენდია დაუნიშნა. 34 მწვრთნელი პლასტიკური ბარათებით დაასაჩუქრეს, რომლებზეც ყოველთვიურად 150 ლარიდან 800 ლარამდე ლარამდე.

დავით ნამგალაური, დეპარტამენტის თავმჯდომარე: „პირველი თვის სტიპენდიები უკვე ანგარიშზეა. ეს ნაბიჯი ფედერაციებთან მოლაპარაკებების შემდეგ გადავდგით. გვინდა, ცოტათი მაინც წავახალისოთ ხალხი, რომელიც ქართული სპორტისთვის ძალ-ღონეს არ იშურებს. ამჯერად მხოლოდ 34 სპეციალისტი დავასაჩუქრეთ. იმედია, რაიონებში მომუშავე მწვრთნელები არ გვიწყენენ. რეგიონალური სპორტული სკოლები და კლუბები ის მუნიციპალურ დაფინანსებაზე დარჩება. წახალისება და მუშაობის სტიმულის მიცემა ჩვენი საქმეა. თქვენგან კი მეტ მონდომებას და შედეგებს ველით."

ფრენბურთი

# მონიკა საქართველოა, სიმები საქა და რთველო



მონიკა როდრიგესი

**აი, ამბავი** — პლაჟის ფრენბურთში საქართველოს ქალთა წყვილს ბრაზილიელი მწვრთნელი მონიკა როდრიგესი ეყოლება. აქვე ვთქვათ, რომ როგორც ქალებში, ასევე კაცებში, საქართველოს სახელით ბრაზილიელები თამაშობენ.

ქალთა წყვილს ქართულ-პასპორტიანი ბრაზილიელები კრისტინ სანტანა და ანდრეზა ჩაგრი შეადგენენ, რომლებიც ქართულად საქა და რთველოდ მოინათლნენ და მსოფლიო ტურზე ამ მეტსახელებით თამაშობენ. შარშან საქა და რთველომ მსოფლიო ტურის მხოლოდ ორ ეტაპზე მოასწრეს ფრენბურთობა და 36 სარეიტინგო ქულა მოიპოვეს, რითაც მსოფლიო რეიტინგში 244 წყვილში 130-ე ადგილზე არიან. გადამწყვეტი კი წლევანდელი სეზონია, რაკი როგორც კაცებში, ასევე ქალებში პეკინის ოლიმპიადის სალიცენზიო ტურნირები იწყება.

სამისოდ საქათრველოს ფრენბურთის ფედერაციამ ქალთა წყვილს თანამემამულე მწვრთნელი მონიკა როდრიგესი დაუნიშნა, ვისაც პლაჟის ფრენბურთში, შეიძლება ითქვას, ჭიპი აქვს მოჭრილი. მონიკა როდრიგესი 39 წლისაა და რიო დე ჟანეიროში ცხოვრობს. ის ატლანტის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი და 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონია. მსოფლიო ტურები კი უამრავჯერ მოუგია. ახლა მონიკა მწვრთნელობს და ბრაზილიაში საუკეთესო მწვრთნელთა ათეულშიც შედის.

რაც შეეხება კაცთა წყვილს, რენატოს და ჟორჟის, იგივე გეორ და გიას, ამ დროისთვის ისინი მსოფლიო რეიტინგში 1180 ქულით 29-ე ადგილზე არიან და პეკინის ოლიმპიადის ლიცენზიას თანდათან უახლოვდებიან.

**ბაჩო სვანიძე**

ცურვა

# კოსუკე კიტაჯიმას იმედი და ივანენკოს დამსხვრეული ოცნება

**მოცურავეები** მელბურნში გასამართი მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ემზადებიან, რომელიც მარტის შუა რიცხვებში დაიწყება. ამ დროს მოცურავეები, ჩვეულებრივ, მოკლე წყალში ეჯიბრებიან ერთმანეთს, ზაფხულობით კი დიდ აუზში ცდიან ძალას, მაგრამ ამჯერად მათ დიდ სარბიელზე მოუწევთ ბრძოლა.

ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი, იაპონელი კოსუკე კიტაჯიმა იქადნება, მელბურნში ბრასის სტილით ცურვაში სამივე დისტანციაზე ოქროს მედლის მოსაპოვებლად ვიბრძოლებო.

კიტაჯიმა, რომელიც მსოფლიოს ფორუმისთვის არიზონის მაღალმთიანეთში ემზადება, ამბობს, ჩემი საბრძოლო ფორმის პიკზე ვარ და მელბურნში გიჩვენებთ, რაც შემიძლიაო.

ამასობაში ირკვევა, რომ 800 მტერზე თავისუფალი სტილით ცურვაში მსოფლიოს რუსი ჩემპიონი ანასტასია ივანენკო მელბურნში ველარ გამოვა, რადგან ორწლიანი დისკვალიფიკაცია ემუქრება. ცურვის საერთაშორისო ფედერაციამ (ფინა) იგი აკრძალული პრეპარატების მიღებაში ამხილა. უფრო ზუსტად, ტესტის შედეგად მის ორგანიზმში აღმოჩნდა „ფუროსემიდი", რომელიც დოპინგის მიღების კვალს შლის.

ახლა ივანენკომ ფინას თავისი ახსნა-განმარტება უნდა წარუდგინოს. მას ტესტის გამეორების უფლებაც აქვს. ოღონდ ეს მელბურნამდე აღარ ესწრება და რუსი მსოფლიოს ჩემპიონატს გამოტოვებს.



კოსუკე კიტაჯიმა

**ავთანდილ ჭყვიშელი**

კრივი



# ტაისონს ვაი არ ელევა

**მსოფლიოს** ყოფილ აბსოლუტურ ჩემპიონ მაიკ ტაისონს შარი, ხათაბალა და სკანდალური ისტორიები არა და არ ელევა. ახლა კი ნარკოტიკებისა და მათი მოხმარების საგნების შენახვა, აგრეთვე ნარკოტიკებით გაბრუებულ მდგომარეობაში ავტომობილის მართვა ედება ბრალად. ამასთან დაკავშირებით ტაისონს სასამართლოში უწევს სირბილი, რომლის კარი მას ისედაც ატალახებული აქვს. ახლახან კიდევ ერთი სასამართლოს სხდომა გაიმართა, რაც სატელეფონო კონფერენციის ფორმატით ჩატარდა. ტაისონს არიზონის შტატის მარიკოპის საოლქო სასამართლოში მორიგ სხდომაზე 12 აპრილს იწვევენ. და თუ მას დანაშაული დაუმტკიცდება, 27 თვიდან შვიდ-ნახევარი წლით თავისუფლების აღკვეთა ელის.



# სიკვდილი ცაში

**ავსტრალიაში** პარაპლანერიზმში მსოფლიოს ჩემპიონატი მიმდინარეობს. მისთვის მზადება სიკვდილის ფასად დაუჯდა ამ საქმეში გამოცდილ ჩჟუნპინია ხეს. ავსტრალიის ცაში სავარჯიშო ფრენისას ქარიშხალში მოხვედრილ ჩინელს და მეხიც დაეცა. ტრაგედია ახალი სამხრეთ უელსის შტატში დატრიალდა, სადაც პარაპლანერისტთა ერთი ჯგუფი ვარჯიშობდა. რამდენიმე მათგანი ცაში იყო, როცა მოულოდნელად თავს ძლიერი შტორმი დაატყდათ. ქარბორბალამ 42 წლის ჩჟუნპინია პარაპლანიანად აიტაცა, სასტარტო ადგილიდან 75 კილომეტრის დაშორებით გაიტაცა და მიწას უსულოდ დაანარცხა.

მისი გერმანელი კოლეგა ევა ვისნერსკი, რომელიც იმ ქარაშოტში მოჰყვა, სასწაულებრივად გადაურჩა სიკვდილს. ქარმა, რომელიც წამში 30 მეტრის სიჩქარით ქროდა, ეს პარაპლანერისტი 9 ათასი მეტრის სიმაღლეზე აიტაცა. იქ ჟანგბადის უკმარისობასა და ძლიერ ყინვაში სპორტსმენმა 40 წუთით გრძნობა დაკარგა. თითქოს ეს არ ეყოფოდა და მერე მსხვილ სეტყვაში მოხვდა. გათოშილი და ხელ-ფეხ მოყინული სპორტსმენი 6 900 მეტრის სიმაღლეზე გონს მოვიდა და დედამიწაზე დაბრუნება შეძლო.

**ავთანდილ ჭყვიშელი**

ოლიმპიზმი

# ავსტრიელები რუსებს უფრთხიან

**„ზალცბურგი — 2014-ის"** საგანაცხადო კომიტეტის თავმჯდომარე ჰაროლდ ლიატნერი 2014 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების სამასპინძლოდ ბრძოლაში პიონჩანს კი არა, სოჭს უფრთხის.

„სოჭის უპირატესობად მე ვთვლი მის ლამაზ ბუნებას, არაჩვეულებრივ ლანდშაფტს და რუსეთის დიდებულ სპორტულ ტრადიციებს, ოღონდ არ ვეთანხმები იქაურ სპორტულ ჩინოვნიკთა წრეებში გავრცელებულ აზრს, რომ ზალცბურგთან სოჭის უპირატესობა ყველაზე თანამედროვე სპორტული ნაგებობების მშენებლობათა ნულიდან დაწყების შესაძლებლობაა და არა იმით დაკმაყოფილება, რაც უკვე აგებულია. მე უფრო სხვა რამ მაღელვებს — ესაა სოჭის ძალიან ფართო ლობისტური შესაძლებლობები და საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის უმაღლეს წრეებთან რუსეთის სპორტულ ჩინოვნიკთა კავშირები" — თქვა ჰაროლდ ლიატნერმა.

**ავთანდილ ჭყვიშელი**

# რეგულარული ჩემპიონატი

27 თებერვალი

**ვაშინგტონი 5:6 ფლორიდა**
*3:4 1:1 1:0 0:0 (0:1 ბულიტები)*
0:1 კოლნიკი (2), 0:2 იოკინენი (8), 0:3 უაიზი (8), 1:3 ოვეჩკინი (9), 2:3 სატერბი (13), 2:4 იოკინენი (18), 3:4 ბიჩი (20), 3:5 იოკინენი (24), 4:5 ოვეჩკინი (38), 5:5 ლაიხი (47)

**კაროლინა 2:4 ოტავა**
*0:0 2:1 0:3*
0:1 ჰითლი (26), 1:1 სტაალი (31), 2:1 ვასიჩეკი (31), 2:2 ვოლჩენკოვი (51), 2:3 რედენი (56), 2:4 სპეცა (60)

**ტორონტო 1:6 ბუფალო**
*0:1 1:3 0:2*
0:1 პომინვილი (15), 0:2 სტაფორდი (25), 0:3 როი (32), 1:3 პონიკაროვსკი (56), 1:4 ჰეხტი (39), 1:5 ჰეხტი (46), 1:6 მაკარტური (54)

**რეინჯერსი 4:0 მონრეალი**
*1:0 2:0 1:0*
1:0 იაგრი (7), 2:0 ჰოსა (30), 3:0 ჰოსა (36), 4:0 კალენი (60)

**ედმონტონი 0:3 ფინიქსი**
*0:1 0:2 0:0*
0:1 ნოლანი (14), 0:2 ლეუ (25), 0:3 რაინპრეხტი (29)

**სენტ ლუისი 3:1 ვანკუვერი**
*0:0 1:1 2:0*
1:0 ბეიქსი (32), 1:1 დ. სედინი (33), 2:1 უაიტი (50), 3:1 უაიტი (58)

**ჩიკაგო 1:4 დეტროიტი**
*0:1 0:2 1:1*
0:1 კალდერი (2), 0:2 ჰოლმსტრომი (43), 0:3 ფრანცენი (40), 0:4 ჰოლმსტრომი (50), 1:4 ჰემილტონი (59)

**კოლორადო 3:2 კოლუმბუსი**
*1:0 1:0 1:2*
1:0 ბრიუნე (13), 2:0 შჩასტნი (38), 3:0 რაიკროფტი (58), 3:1 ნეში (59), 3:2 ნეში (60)

**ტამპა 1:2 დალასი**
*0:0 1:1 0:0 0:1 (ოვერტაიმი)*
0:1 ლეჰტინენი (31), 1:1 რიჩარდსი (40), 1:2 ნადი (62)

**პიტსბურგი 0:1 ნიუ ჯერსი**
*0:0 0:1 0:0*
0:1 ლანგერბრუნერი (21)

**აილენდერსი 6:5 ფილადელფია**
*4:1 1:2 0:2 1:0 (ოვერტაიმი)*
1:0 ბლეიკი (3), 2:0 ბლეიკი (8), 2:1 უმბერგერი (14), 3:1 ჰანტერი (15), 4:1 ბლეიკი (20), 4:2 კაპანენი (23), 5:3 საიმონი (27), 5:3 აფანასენკოვი (28), 5:4 უმბერგერი (49), 5:5 განიე (50), 6:5 ჰანტერი (65)

# დედლაინი: ვინ იდედლა და ვინ იმამლა, პლეი ოფი გამოაჩენს


დედლაინის მთავარი ფიგურა: რაიან სმიტი

**მოვლენებით** დატვირთული და მოულოდნელობებით სავსე გამოდგა წლევანდელი ნჰლ-ური დედლაინი — გუშინ ერთბაშად 25 ტრეიდი შედგა, რაც ლიგის რეკორდის გამეორებაა.

უმთავრესი სენსაციით დავიწყოთ — „ედმონტონმა“ ვერ შეძლო გუნდის სახესა და ლიდერთან რაიან სმიტთან ახალ კონტრაქტზე შეთანხმება და ის „აილენდერსში“ გაუშვა. „მებნავთობეებმა“ საპასუხოდ ორი ახალგაზრდა მოთამაშე — რობერტ ნილსონი, რაიან ომარა და წლევანდელ დრაფტზე პირველი რაუნდის არჩევანი მიიღეს. თუმც ამ გარიგებას „ედმონტონის“ ფანები გენერალურ მენეჯერ კევინ ლოუს კიდევ დიდ ხანს არ აპატიებენ. ამის დასტურად გუშინდელი მატჩიც გამოდგება, როცა „ფინიქსთან“ შეხვედრაში თითქმის მთელი მატჩის განმავლობაში ყვела გაჰკიოდა — „სმიტი, სმიტი“.

მნიშვნელოვნად გაძლიერდა „სან ხოსე“, რომელმაც „სენტ ლუისიდან“ წლეულს ძველებურად ათამაშებული ვეტერანი ფრთა ბილ გერინი დაიმატა, სამისოდ კი ვილი ნიემინენის, იმედის მომცემი სნაიპერ ჯეი ბარიბალასა და დრაფტის პირველი არჩევანის დათმობა მოუწია.

მორიგი სარისკო ნაბიჯი გადადგა „დეტროიტის“ გენერალურმა მენეჯერმა კენ ჰოლანდმა. ერთი დღით ადრე აყვანილ კაილ კალდერის შემდეგ „წითელმა ფრთებმა“ „ფლორიდიდან“ ტოდ ბერტუცი დაიმატეს. სარისკო კი ეს გაცვლა იმიტომაა, რომ ბერტუცის ტრავმის გამო თითქმის მთელი სეზონი გაუცდა და წესით, ყინულზე მარტის შუა რიცხვებამდე ვერ გავა. ძნელი სათქმელია, მოასწრებს თუ არა „დიდი ბერტი“ საპლეიოფოდ ფორმის აღდგენას. თუ ბერტუცი ძველებურად ათამაშდა, მაშინ ჰოლანდს გენიოსად ჩათვლიან, რადგანაც თითქმის არაფერი არ დაუთმია — არცთუ განსაკუთრებულად პერსპექტიული შონ მატიასი და დრაფტის არჩევანი (სავარაუდოდ, მეორე ან მესამე წრის).

უცნაურად ჩაატარა ეს დედლაინი რეგულარული ჩემპიონატის ლიდერმა „ბუფალომ“. ტრავმებით გაწამებულ გუნდს აშკარად წაადგება „ვაშინგტონიდან“ წამოყვანილი დანიუს ზუბრუსის დახმარება, რომლის სანაცვლოდაც „ხანჯლებმა“ დედაქალაქში ირჟი ნოვოტნი, ახალგაზრდა მცველი ტიმო ჰლებლინგი და დრაფტის არჩევანი დათმეს. მაგრამ „ბუფალოს“ მიერ განხორციელებული მეკარეთა როქი მთლად გაუგებარია — სათადარიგო, მაგრამ ძლიერი მეკარე მარტინ ბირონი „ფილადელფიის“ გზას გაუყენეს, მისი ადგილი კი „კოლუმბუსიდან“ წამოყვანილი არცთუ სტაბილური ტაი კონკლინით შეავსეს.

კონკრეტული პოზიციები გაამაგრა „პიტსბურგმა“ — გერი რობერტსის შემდეგ „ფინიქსელი“ ჯორჯ ლარაკი და „ფლორიდელი“ გამოცდილი უკანახაზელი ჯოელ კვიატკოვსკი დაიმატეს, ცენტრი დომინიკ მური კი „მინესოტაში“ გაუშვეს. აქ მთავარი ლიგის ერთ-ერთი საუკეთესო პოლიციელის ლარაკის დამატებაა, რომლის უპირველესი მოვალეობაც ახალგაზრდა „პინგვინების“ — სიდნი კროსბის, ევგენი მალკინისა და ჯორდან სტაალის მეტოქეთა უხეშობისგან დაცვა იქნება.

მცველები გაცვალეს „რეინჯერსმა“ და „ბოსტონმა“ — ნიუ იორკში პოლ მარა წავა, აარონ უორდი კი „დათვების“ უკანა ხაზს გაამაგრებს. „რეინჯერებმა“ ასევე გაუშვეს ცენტრი პასკალ დუპუი, „ატლანტასგან“ კი ძალიან პერსპექტიული ალექს ბურე მიიღეს.

თავდასხმის ხაზი გადაახალისა „ტამპამ“ — ლოსანჯელესელი ჯეისონ უორდი (დრაფტზე მეხუთე წრის არჩევანი დათმო) და ჩიკაგოელი კარლ სტიუარტი (ნიკიტა ალექსეევი და დრაფტზე მეშვიდე წრის არჩევანი) დაიმატა.

ფასდაკელბა მოაწყო „ფინიქსმა“ — უკვე აღნიშნული ლარაკის გარდა გუნდმა ოლეგ საპრიკინი („ოტავაში“) და იანიკ პერო („ტორონტოში“) გაუშვა და საპასუხოდ დრაფტის არჩევნები მიიღო.

**კახა ლომაშვილი**

# დიდი კაპიტანი ცაში გამოკიდეს



**მარკ მესიემ** ბოლოჯერ ასწია სტენლის თასი და უკანასკნელად დაარტყა საპატიო წრე „რექსალ პლეისს“ — ადგილს, სადაც მან კარიერის დიდი ნაწილი გაატარა და ჰოკეის ლეგენდად იქცა.

გუშინ ედმონტონში, გავსებული ტრიბუნების წინ მესიეს 11-ნომრიანი მაისურა უკვდავყვეს და სტადიონის თაღქვეშაც გამოკიდეს. ამ ორმოცწუთიანი, მეტად ემოციური ზეიმის ბოლოსკენ მესიე ცრემლებს ველარ იკავებდა. ედმონტონში დაბადებული მესიე ნჰლ-ის ბოლო დინასტის ერთ-ერთი უმთავრესი ნაწილი იყო და ისეთი ჰოკეისტების მხარდამხარ თამაშობდა, როგორებიც უეინ გრეცკი, იარი კური, პოლ კოფია და გრანტ ფიური იყვნენ. ამ ხალხთან ერთად მესიემ ხუთჯერ ჩაიხუტა სტენლის თასი, მოგვიანებით კი თავის კოლექციას ერთიც დაამატა „ნიუ იორკ რეინჯერსის“ კაპიტნის რანგში. თუმც მარკს არც პირადი ჯილდოები აკლია — ორჯერ რეგულარულის და ერთხელაც პლეი ოფის უძვირფასეს მოთამაშედ დაასახელეს.

**კახა ლომაშვილი**



# უელსმა ძრავი დაიბრუნა



უელსის ნაკრების ყოფილ კაპიტანს და გუნდის „დამქოქავს“ გარეთ ტომასს დისკვალიფიკაციის ვადა გაუვიდა და ამ უქმეებზე ექვსი ერის მეოთხე ტურში ჯერაც მოუგებელ უელსს დაუბრუნდება.

ტომასმა ერთთვიანი დისკვალიფიკაცია იანვრის ბოლოს ევროპული რაგბის უმთავრესი საკლუბო ტურნირის ჰაინეკენის თასზე აიკიდა. უელსელ შემტევს „ტულუზა“ ირლანდიურ „მანსტერს“ მასპინძლობდა, როდესაც სტუმართა ყიამყრალმა ფანმა ტომასს აგინა. ამან კი ველარ მოითმინა და მაგინებელს ტრიბუნაზევე მიუნგრია თავ-ყბა.

„გარეთ ტომასის დაბრუნებით ჩვენი ნაკრები უფრო მობილური და შემტევი გახდება. რაც მთავარია, მას განსაკუთრებული უნარი აქვს, გუნდი საბრძოლველად მომართოს“ — განაცხადა უელსის ნაკრების მორაგბემ ტონ შენკლინმა.

# არგენტინას მოცდა არ უნდა

არგენტინის მთავრობამ თხოვნით მიმართა ავსტრალიის ხელისუფლებას, რომ ამ უკანასკნელმა სთხოვოს ავსტრალიის რაგბის ფედერაციას, მხარი დაუჭიროს სამ ერზე არგენტინის მეოთხე წევრად რაც შეიძლება მალე მიღებას.

ის, რომ, სამი ერი უკვე დრომოჭმული ტურნირია და გაფართოებას საჭიროებს, მეოთხე წევრად კი კარგა ხანია, სწორედ არგენტინა მოიაზრება, ძველი ამბავია. არგენტინის სამხრეთ ნახევარსფეროს უდიდეს ტურნირში მონაწილეობა გადაწყვეტილი ამბავია, მაგრამ ტურნირის ორგანიზატორთა თქმით, ეს მხოლოდ 2010 წელს თუ მოხდება. არგენტინელებს კი სურთ, ტურნირზე მომავალი წლიდანვე დაუშვან და ამ ამბავში ავსტრალიელთა იმედი აქვთ.

# ლარკემის მხარი უმაგას კისერზეა



ავსტრალიის ნაკრებისა და „ბრამბიზის“ ძირითადი მეათე ნომერი სტივენ ლარკემი სამი კვირით ლაზარეთში ჩაეწერა. 32 წლის ავსტრალიელს ზე-14-ის მატჩისას მხარი ამოუვარდა და ამასთან ლავიწის ძვალიც აქვს გაბზარული. ლარკემის ცოდვა ახალზელანდიელი ზევარსკვლავის ტანა უმაგას კისერზეა. ჰარიკანზელი უმაგა ისე შეასკდა ლარკემს, რომ ავსტრალიელი საკაცით გასაყვანი შეიქნა. „როდესაც ჩემკენ დაძრული უმაგა დავინახე, ეგრევე მივხვდი, რომ ჩემი საქმე ცუდად იყო“ — ხუმრობით იხსენებს ტრავმის ეპიზოდს ლარკემი.

# უილკინსონი ანგარიშს არ ცნობს



ექვსი ერის მესამე ტურში ირლანდიასთან განადგურებული ინგლისის ნაკრების ვარსკვლავი ჯონი უილკინსონი ამბობს, რომ სარეკორდოდ წაგებულ მატჩში (13:43) ტრაგედიას ვერ ხედავს. „მართალია, ჩვენ ოცდაათი ქულით წავაგეთ, რაც აქამდე არ მომხდარა, მაგრამ განსაკუთრებული ფორიაქის საფუძველს ვერ ვხედავ. შეგახსენებთ, რომ 2003 წლის ექვს ერზე ჩვენ 42:6 მოვუგეთ ირლანდიას, თუმც მაშინ მეტოქე სწორ და გამართულ რაგბის თამაშობდა და ყველაფერს ისე აკეთებდა, როგორც საჭირო იყო. ამით იმის თქმა მინდა, რომ ხანდახან ანგარიშში სხვაობა რეალურ სურათს სულაც არ ასახავს“ — განაცხადა უილკინსონმა.

# იტალიის პირველი მერვეა

ექვს ერზე, შუაგულ ედინბურგში იტალიამ შოტლანდია რომ მიაგრია, ეს რეიტინგშიც აისახა. იტალიელებს სენსაციური გამარჯვება რაგბის საერთაშორისო საბჭომ დაუფასა — თავის განახლებულ რეიტინგში „აძურა“ მე-9 ადგილიდან ერთი საფეხურით დააწინაურა. აღსანიშნავია, რომ ექვს ერზე ეს იყო იტალიელთა მიერ სტუმრად მოგებული პირველი მატჩი.

IRB-ის რეიტინგში კი ახალი ზელანდია უსტაბაშობს, მერე მოდიან: საფრანგეთი, ავსტრალია, სამხრეთ აფრიკა, ირლანდია, არგენტინა, ინგლისი, იტალია, შოტლანდია და უელსი.



# კოპს-ჯონსი: ანა რეიჩელს გადაახტა
## ჩიხლაძემ შვეიცარიაში მოგებით დაიწყო

**ანა ტატიშვილმა** ლას ვეგასის 75-ათასიანი შეჯიბრის საკვალიფიკაციო ეტაპის მეორე წრეც წარმატებით დაძლია. სათამაშო ბიზნესის მსოფლიო ცენტრში ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის ტურნირი ტარდება და ნორჩი ქართველი ჯერჯერობით წარმატებით ირჯება — ანამ ნევადურ მაგარსაფარზე ბულგარელი ელენა გენჩევას განადგურების შემდეგ სამ სეტში — 7:5 4:6 6:1 მოუგო რეიტინგში 205-ე ადგილზე მყოფ ამერიკელ რეიჩელ კოპს-ჯონსს.

მესამე და ძირითად ბადეში მოსახვედრად გადამწყვეტი შეხვედრა ანას კიდევ ერთ ამერიკელთან, კლასიფიკაციაში 194-ე ადგილზე მყოფ 22 წლის ანჯელა ჰეინსთან ექნება, რომელმაც თავის მხრივ, ტატიშვილამდე ავსტრალიელი ლორინ ბრიდმორისა (6:0 3:6 6:4) და იაპონელი შიჰო ჰიშამაცუს (6:2 6:1) გავლით მიაღწია.

მოგებით დაიწყო შვეიცარიული ლოგერნას ჭერქვეშა ხალიჩაზე თამაში ლადო ჩიხლაძემ. საქართველოს სადევისთასო ნაკრების მეორე ნომერი იქ განთესილთა შორისაა, მე-7 ნომერია და ავსტრიელი არმინ სანდბიხლერისთვის, ვითომ იოლადაც უნდა მოეგო, მაგრამ არ გამოვიდა — ლადომ მხოლოდ უმძიმესი სამსეტიანი ჯახის შემდეგ დააშამათა მეტოქე — 6:7 6:3 7:6 და მეორე წრეში გააღწია, სადაც ან კლასიფიკაციის 563-ე ნომერს, ჩეხ იაკუბ ჰაშეკს შეხვდება, ანაც შვეიცარიელ რობან როშარდტს, ვისაც რეიტინგში 782-ე პოზიცია უჭირავს.

# ბაი, ბაი: ნადალმა დუბაიდან ბალდატისი დაითხოვა



რაფაელ ნადალმა დუბაიში შარშანდელი გაიხსენა

**დუბაის** შეჯიბრის პირველივე წრეში რაფაელ ნადალს მარკოს ბაღდატისი ერგო მეტოქედ. მართალია, კვიპროსელი განთესილი არ იყო, მაგრამ მაინც ცოტა თუ დადებდა თავს იმაზე, რომ ამ წყვილიდან კორტს გამარჯვებულის რანგში პირინელი დატოვებდა — ჯერ ერთი, ნადალს ავსტრალიის ღია პირველობის შემდეგ ტრავმა აწუხებდა და არსად უთამაშია, მეორეც, თავად კვიპროსელია საკმაოდ კარგ ფორმაში, უკანასკნელ კვირებში ტურნირიც მოიგო და ერთ ფინალშიც მოასწრო თამაში.

ეს შეხვედრაც ისე დაიწყო, რომ წესით, „გრუნტის მეფეს“ შანსი არ უნდა ჰქონოდა — თავიდან ბაღდატისი სიტუაციის ბატონ-პატრონი იყო და სეტი იოლადაც მოიგო, 6:3. თუმც აქ უკვე ნადალი ჩაირთო, რომელმაც ალღო აუღო დუბაის სწრაფ კორტებს და დაამტკიცა, რომ თიხნარის გარდა ჰარდზეც მშვენივრად შეუძლია თამაში. ესპანელმა უპირველესად ტემპს უმატა, რასაც ბაღდატისმა ველარაფერი დაუპირისპირა. მალიორკელმა უპირატესობა ხელიდან აღარ გაუშვა და მატჩის დაწყებიდან საათნახევრის შემდეგ გამარჯვებასაც ზეიმობდა. ასე რომ, ნადალმა ტიტულის დაცვა წარმატებით დაიწყო.

იხეირეს რუსებმაც — ნიკოლაი დავიდენკომ ძალიან იწვალა და წაგებას ბევრი არც არაფერი აშორებდა, მაგრამ მაროკოელ ვეტერან იონას ელ ანაუის მაინც მოუგო. აი, მიხაილ იუჟნი კი უკვე მეოთხედფინალშია. მოსკოველს საამისოდ მეექვსე ნომრად განთესილი ტომაშ ბერდიხის დამარცხება დასჭირდა. საუკეთესო რვაში ასევე გაინაღდეს ადგილები დიდებულ ფორმაში მყოფმა ტომი ჰაასმა, რომელმაც ფლორენ სერას მოუგო (7:6 6:3), ნოვაკ ჯოკოვიჩმა რაინერ შუტლერი დაამარცხებით (7:6 6:3) და ფაბრის სანტორომ, ვინც ჟილ სიმონს გაუსწორდა (6:4 6:2).

რამდენიმე ბობოლამ კი აზიაში გამგზავრებას ლას ვეგასში თამაში (და პარალელურად გართობა) არჩია. მათ შორის არიან მარატ საფინი და ლეიტონ ჰიუიტი, რომლებმაც შესაბამისად შტეფან კუბეკისა და ვინსენტ სპადეას დასამარცხებლად ორ-ორი სეტი იმყოფინეს.

დოჰაში მიმდინარე ქალთა ტურნირზე კი სამი მეოთხედფინალისტის ვინაობა გაირკვა. ეს პატივი პატი შნიდერს, ფრანჩესკა სკიავონესა და სვეტლანა კუზნეცოვას ერგოთ — ორი უკანასკნელი კი ერთმანეთს ნახევარფინალის საგზურსაც შეეცილება.

**ბახა ლომაშვილი**



## მსოფლიოს ჩემპიონატი
საპორო. იაპონია. 22 თებერვალი – 4 მარტი

# ბერგერი: ბიატლონის გერისთვის ავდარი დარია



**15-კილომეტრიანი** ინდივიდუალური რბოლა; 121 მონაწილე, რომლებიც სტარტს ნახევარწუთიანი ინტერვალით იღებენ; ანუ პირველი კაცი ტრასაზე რომ გავიდა, ბოლო ერთი საათის შემდეგ დაადგა გზას; ანუ, ეს ბოლო, მსოფლიოს თასის მფლობელი და წლევანდელი გათამაშების ლიდერი, გერმანელი ტობიას ანგერერი დისტანციაზე რომ წავიდა, მონაწილეთა მესამედს რბოლა დამთავრებული ჰქონდა.

სწორედ მაშინ, მეასე სასტარტო ნომრებს ზემოთ მყოფი ფავორიტები თხილამურებს რომ ირგებდნენ, ჰოკაიდოს ცამ პირი შეკრა და ისე გათოვდა, აღარაფერი ჩანდა. ესენი, ფავორიტები არა და ისინი, თავიდან რომ დაადგნენ გზას, ფინიშთან გაავდრებამდე მივიდნენ ყოველგვარი პრობლემების გარეშე. არადა, ინდივიდუალურ რბოლებში ასეა — პირველი ნომრები არიფები არიან, ხოლო ფავორიტები ბოლოსკენ გადიან გზაზე. ასეა და ამინდმა შანსები გაათანაბრა. გაათანაბრა კი არა, სულაც ამოატრიალა ყველაფერი და მავანმა ბელორუსმა ლეონიდ კარნეინკამ, ვისაც მე-3 სასტარტო ნომერი ჰქონდა, საბოლოო ჯამში ვერცხლის მედალი ირგუნა. დიდი ალბათობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს ვერცხლი ამ კარნეინკას კარიერაში ერთადერთ მიღწევად დარჩება და ეგ კი არა, კინაღამ ბრინჯაოც უცხო კაცმა, პირველი სასტარტო ნომრის მქონე ავსტრალიელმა იოჰანეს ედერმა ირგუნა.

ეს ედერი თითქმის ბოლომდე იდგა მესამე პოზიციაზე, მაგრამ ბოლოსკენ თოვლი შეწყდა და ანგერერმაც, პრაქტიკულად, შეუძლებელი შეძლო — უკანასკნელ კილომეტრებზე ამოქაჩა ჩამორჩენა და ედერს ექვსი წამით აჯობა.

სხვა ფავორიტები — რუსები, დანარჩენი გერმანელები, შვედები, ნორვეგიელები უკან დარჩნენ. ოღონდ, არა ყველა ნორვეგიელი — ერთი მათგანი, კერძოდ კი პროფესიით ბიატლონისტი ლარს ბერგერი სტარტზე ორმოცდამეთხუთმეტე იყო, ანუ მან დისტანციის დაახლოებით ნახევარი ნორმალურ პირობებში გაიარა და სწორედ ამის წყალობით, იმხელა უპირატესობით მოიგო რბოლა, დიადი ბიორნ დელის შემდეგ რომ აღარ უნახავთ თხილამურობის ქომაგებს.

ბერგერის გამარჯვება, თავისთავად სენსაცია არ არის. სწორედ ამ დისტანციაზე, ორი წლის წინანდელ მსოფლიოს ჩემპიონატზე მან მეოთხე ადგილი დაიკავა, მაგრამ, მაინც...

ნორვეგიელთა გუნდში გუშინ ორი ბიატლონისტი იყო — ბერგერი და დიადი ოლე ეინარ ბიორნდალენი და ვიკინგები, სწორედ ოლეზე ამყარებდნენ იმედებს. მაგრამ ბიატლონის მეფე ბოლო ჯგუფში იყო, ანუ სხვა ფავორიტების მსგავსად თოვლსაც ებრძოდა და საბოლოო ჯამში მე-16 ადგილზე გავიდა ბერგერთან წუთისა და 36 წამის ჩამორჩენით. არადა, ბიორნდალენი ბერგერზე ჩქარი მოთხილამურეა. ბიატლონის მოყვარულებმა ეს მშვენივრად იციან, მაგრამ გუშინ სხვა დღე იყო. გუშინ ბერგერის დღე იყო და მანაც მშვენივრად შეირგო ბედისა და ამინდის საჩუქარი.

კარნეინკაზე ნულარაფერს ვიტყვით. საპოროს ჩემპიონატის შემდეგ ეს გვარი აღარავის გაახსენდება.

წინ კი ესტაფეტებია. დღეს ქალები შეეჯიბრებიან ერთმანეთს 4+5 კილომეტრზე, ხოლო ხვალ კაცები ოთხჯერ ათ კილომეტრს დაფარავენ.

**გია მუჯირი**

## თხილამურობა

კაცები. 15 კმ ინდივიდუალური. თავისუფალი

| | |
|---|---|
| 1. ლარს ბერგერი (ნორვეგია) | 35წთ. 50,06წ. |
| 2. ლეონიდ კარნიენკა (ბელორუსია) | 36.25,8 |
| 3. ტობიას ანგერერი (გერმანია) | 36.42,4 |
| 4. იოჰანეს ედერი (ავსტრია) | 36.48,3 |
| 5. აქსელ ტაიხმანი (გერმანია) | 37.04,6 |

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ პოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ქორქოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: პაატა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ღარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა: sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge